ISSN 0132 – 6007

140
1989/2



# პიონერი

8
1989

შეხვედრები
თქვენი

# მომავლის იმედით

სკოლაზე ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეა, რადგან სწორედ სკოლას აკისრია ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესის უპირველესი ორგანიზატორის როლი.

ახლა, საჯაროობისა და გარდაქმნის პერიოდში, სულ ახლებურად გვესახება სკოლის მნიშვნელობა მომავალი თაობის აღზრდაში.

როგორი მდგომარეობაა ამჟამად ჩვენს სკოლებში? რა პრობლემებია დღის წესრიგში? რა უნდა გავითვალისწინოთ სამომავლოდ? ამ და სხვა პრობლემებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ თბილისის პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგი, ისტორიის მასწავლებელი სერგო ვარდოსანიძე. გთავაზობთ ამ საუბრის მოკლე ჩანაწერს:

**— მრავალი საჭირბოროტო საკითხი დაგროვდა სკოლასთან დაკავშირებით. ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავების საკითხი განიხილა. რას გვეტყოდით ამ საკითხზე?**

— ქართული ეროვნული სკოლის კონცეფცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიმუშავეს იაკობ გოგებაშვილმა და ილია ჭავჭავაძემ, როცა შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მაგრამ, მოგეხსენებათ, მაშინ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და ეს კონცეფცია არ შეესაბამებოდა ოფიციალური მთავრობის პოზიციას და, ბუნებრივია, წარმატებაც არ ეწერა.

ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავება თანამედროვე ეტაპზე ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ამ 70 წლის განმავლობაში ჩვენი სკოლა იყო არა ეროვნული, არამედ რაღაც სხვა — კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალური. საქართველოს სსრ საშუალო სკოლის მოსწავლე სომხეთის სსრ საშუალო სკოლის მოსწავლისაგან მხოლოდ ქართული ენა-ლიტერატურის დისციპლინებით არის გამორჩეული. ყველაფერი დანარჩენი კი საერთო და ერთნაირია.

ეროვნული სკოლის კონცეფცია გულისხმობს იმის მეცნიერულად გააზრებას, თუ როგორი მოქალაქე უნდა გაზარდოს ჩვენმა სკოლამ, როგორ უნდა ესმოდეს მას საკუთარი სამშობლოს სიყვარული, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს თავისი ქვეყნის ისტორიასთან, ბუნებასთან, მსოფლიო ცივილიზაციასთან, როგორი თანამიმდევრობა უნდა იქნას დაცული სასწავლო დისციპლინების შესწავლის დროს, როგორი უნდა იყოს ეროვნული სკოლის სახელმძღვანელოები. ჯერჯერობით ყველა ეს საკითხი სახალხო განათლების საკავშირო ორგანოების ფუნქციებში შედის. მართალია, სახალხო განათლების მუშაკთა ყრილობაზე ითქვა განათლების სისტემის დიფერენციაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს სიტყვის ფარგლებს არ გასცილებია.

ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის რეალური განხორციელების პირობებში. სხვანაირად ეროვნული სკოლის კონცეფცია საზოგადოებრიობის თვალის ახვევის ცდად მიმაჩნია.

**— რადგან სკოლის გარდაქმნას შევეხეთ, ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ საჭიროა სწავლების ძველებური სტერეოტიპების შეცვლა, უფრო სრულყოფილი უნდა გახდეს სწავლების პროცესი. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს დიფერენცირებულ სწავლებას, კომპიუტერიზაციას, სკოლის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას?**

— ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავების შემდეგ (თუ, რა თქმა უნდა, რესპუბლიკა ნამდვილი სუვერენული სახელმწიფო გახდა) შეიცვლება სწავლების შინაარსი. სწავლება უინტერესოა იმიტომ, რომ ჩვენი სახელმძღვანელოები გამორიცხავს ურთიერთგანსხვავებულ მსჯელობას, დასკვნებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გაკვეთილები მოსაწყენია. მომავალში საშუალო სკოლის თითოეულ საგანში სახელმძღვანელოების რამდენიმე ვარიანტი უნდა შეიქმნას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აზროვნების, მსჯელობის უნარის განვითარებას. სკოლა დიფერენცირებულ სწავლებაზე გადავა, რომლის სიკეთე ისაა, რომ საკლასო კოლექტივები ერთი ინტერესის მიხედვით ყალიბდება და იქმნება უფრო კომპეტენტური და შრომისმოყვარე ატმოსფერო. მაგრამ თუ დიფერენცირებულ სკოლებში შერჩევა ობიექტურად, მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით არ მოხდა და მასწავლებლებიც ამ კლასში კვირეული სასწავლო დატვირთვით შევლენ, მაშინ ყველაფერი ძველებური კალაპოტით წარიმართება.

**— ჩვენ ვეძებთ აღზრდის პრობლემებში რაღაც ახალს — მოსწავლეზე ზემოქმედების ახალ ფორმას, მეთოდებს, ვხარჯავთ ამაზე უამრავ ენერგიას, სულიერ ძალას. პედაგოგიური სიმამაცე, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, სწრაფვა უკეთესად, შემოქმედებითად მუშაობისაკენ ჭეშმარიტი პედაგოგის დამახასიათებელი თვისებაა. თქვენ რას გვეტყოდით ამჟამინდელ ვითარებაში მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების შესახებ?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.390

— საქართველოს მომავალი დიდადაა დამოკიდებული საშუალო სკოლაზე, უმაღლეს სასწავლებელზე. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის ვასწავლით და ვინ ასწავლის ახალგაზრდობას. მე ვფიქრობ, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო პროგრამები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დიპლომიანი ახალგაზრდა წარმატებით შეუდგეს თავისი მოვალეობის აღსრულებას. ახალკურსდამთავრებულს შეიძლება მეთოდური დახელოვნება აკლდეს, მაგრამ მან კარგად უნდა იცოდეს ის სასწავლო დისციპლინა, რომელიც სკოლაში უნდა ასწავლოს. სინამდვილეში ეს ასე არ არის. და უკვე თქმულის გარდა ამის მიზეზი ისიცაა, რომ უმაღლეს სასწავლებელში კონტინგენტის შერჩევის დროს ნამდვილ ცოდნას ხშირად ჩაგრავს ანგარება, ნაცნობ-მეგობრობა. ეს მოქმედება ეროვნული ღალატის ტოლფასია. ამ გზით ჩარიცხული ახალგაზრდები ამავე გზით ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს და ასეთივე სპეციალისტებად გვევლინებიან. აქა-იქ გამოერევიან კეთილსინდისიერი გამომცდელები, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშემწყობნი და ვითარება ერთგვარად იცვლება კეთილის სასარგებლოდ. ცუდი ლექციები, ცუდი სემინარები, უინტერესო მუშაობა, თავიდანვე შეძენილი პრიმიტივიზმისა და იოლად ფონს გასვლის ჩვევა ადამიანებს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თან გაჰყვებათ ხოლმე ხასიათის თვისებად.

მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მისი საგნის მაღალი ავტორიტეტი — ეს მისი პროფესიული მომზადების საზომია.



— მეოცე საუკუნეში კი უცერემონიოდ დავიწყეთ ბუნების „მოთვინიერება“, — სინანულით ამბობს ბატონი სერგო

**— გეთანხმებით, რომ მასწავლებლის პროფესიონალიზმზე ძალზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მაგრამ რატომ ხდება, რომ ცოდნასმოწყურებული თვალებდაფაციცებული ნორჩები თანდათანობით სწავლას უკლებენ, ინერტულნი და უხალისონი ხდებიან და სკოლაში დადიან უფრო იმისათვის, რომ სიმწიფის ატესტატი აიღონ? სად უშვებენ შეცდომას სკოლა, მასწავლებელი, ოჯახი?**

— მასწავლებლის ვალია, მოსწავლეები დარაზმოს კარგი სწავლისათვის, შეაგნებინოს, რომ ღრმა და ფართო ცოდნა საჭიროა მისი და მისი სამშობლოს მომავლისათვის, ჩამოუყალიბოს ჭეშმარიტი მოქალაქისა და კეთილშობილი ადამიანის თვისებები. ეს ძალზე რთული გზაა, მაგრამ ერთადერთი სწორი გზაც ეგ არის.

იმის მომიზეზება, რომ ახლა სხვა დროა, უამრავმა ინფორმაციამ და გასართობმა ბავშვს წიგნზე გული აუცრუაო, პედაგოგის პროფესიულ სისუსტეზე მიგვანიშნებს. თანამედროვე გაკვეთილი — ეს ინფორმაციის ათვისების გაზრდილი ტემპია და მასწავლებლის ოსტატობა ისაა, რომ თავისი საგანი თითოეული ბავშვისათვის საინტერესო გახადოს.

მასწავლებელი მოზარდისათვის ზნეობრივი მაგალითი უნდა იყოს, მისი პატიოსნება, უანგარობა, უკომპრომისობა, გულითადობა, სიკეთე და თავისებური სამართლიანი სიმკაცრე (მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რომ დანაშაული არ შერჩება) მიიზიდავს მისკენ ბავშვის სპეტაკ და თბილ გულს.

იმისათვის, რომ ბავშვს გული სკოლისაკენ მოუბრუნდეს, ჩემი აზრით, უნდა გაუქმდეს საყოველთაო სწავლება, სკოლა დაკომპლექტდეს მაღალინტელექტიანი პრინციპული მასწავლებლებით და, რაც მთავარია, საზოგადოების თითოეულ წევრს შეექმნეს იმის რეალური იმედი, რომ ნამდვილი ცოდნა, ინტელექტი ცხოვრებაში წინსვლის საფუძველია.

**— ისეც ხდება, რომ მოსწავლე, რომელმაც გაჭირვებით დაამთავრა სკოლა, უმაღლესისაკენ საოცარი სიმტკიცით მიიწევს. რა ამოძრავებს მას, ცოდნის დაუფლების გაღვიძებული წყურვილი თუ დიპლომიანი ახალგაზრდის პრესტიჟული სახელი?**

— ისეთი დრო დაგვიდგა, ვინც წესიერად არ მუშაობს და არ სწავლობს, სწორედ ის ცხოვრობს უკეთესად. ახალგაზრდა ბავშვობიდანვე ხედავს ამას და ცდილობს, თვითონაც იოლად გავიდეს ფონს.

ჩვენი ახალგაზრდების ერთი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლისაკენ

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის
1926
წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა 8 აგვისტო 1989



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ცოდნის წყურვილით მიიწევს, მაგრამ მეტი წილი მატერიალურად უზრუნველყოფილია და მშობლები ცდილობენ, სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილივით „გაუკეთილშობილონ“ მომავალი. ამთავრებენ ასეთები უმაღლესს ნიჭიერთა და გონებაგახსნილთა ხარჯზე და, შესაბამისად, მრავლდებიან დიპლომიანი ფსევდოსპეციალისტები, რომლებიც ფიზიკურ შრომას არ კადრულობენ და გონებრივად არაფერი გაეგებათ.

**— ამიტომ, მე ვფიქრობ, სკოლაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შრომით აღზრდას.**

— სავსებით გეთანხმებით. დღევანდელ კარგად აღჭურვილ სკოლაში, მატერიალურ კეთილდღეობაში გაზრდილი ბავშვები ფიქრობენ, რომ ყველაფერი ეს თავისთავად არსებობს და მომავალშიც იარსებებს; ბავშვებს არაფერი გაუკეთებიათ ამ კეთილდღეობისათვის, მოკლედ — არ უშრომიათ, ამიტომ არც ადარდებთ ჩამტვრეული მინა, დაჯღაბნილი მერხები, დასვრილი კედლები. მოზარდებს თვალნათლივ უნდა დავანახოთ, რომ შრომა პატივისცემასა და მზრუნველობას მოითხოვს. შრომის გაკვეთილი მოსწავლის ცხოველ ინტერესს უნდა იწვევდეს, უნდა იყოს ჭეშმარიტად შემოქმედებითი, სახალისო და არა იძულებითი. სკოლის სასწავლო კაბინეტი თუ სახელოსნო მოზარდისათვის ნამდვილ საწარმოდ უნდა იქცეს, თორემ შემდეგ ცხოვრებაში, დიდ საწარმოში, მათ ნამდვილი შრომის ფასი არ ეცოდინებათ.

**— ოჯახის, სკოლის, მასწავლებლის სიყვარულით იწყება სამშობლოს სიყვარული — პატრიოტიზმი, რომელიც სიტყვის მასალად არ უნდა იქცეს, იგი სამშობლოსათვის, ხალხისათვის სასარგებლო საქმეებით უნდა იწყებოდეს. პატრიოტიზმი მშობლიური ბუნების სიყვარულით იწყება. ბოტანიკისა და ზოოლოგიის დისციპლინების შესწავლის გარდა, რა იციან ბავშვებმა საქართველოს ბუნების ამჟამინდელი ეკოლოგიური კრიზისის შესახებ?**

— იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ არის მოთხრობა, რომელიც ზღარბის სიკეთეს ეძღვნება. ვინც ამ მოთხრობას წაიკითხავს, ის არასოდეს შეეცდე?ა ზღარბის მოკვლას. ასევე ფაქიზად მოგვითხრობს დიდი პედაგოგი ფრინველებზე, მდინარეებზე, ტბებზე. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის ქართველობას სწამდა, „ჩვენ ბუნების ნაწილი ვართ“, „ბუნება მბრძანებელიაო“. XX საუკუნეში კი უცერემონიოდ დავიწყეთ ბუნების მოთვინიერება. მაგრამ რამდენად სასაცილოა და სავალალოც ეს „მოთვინიერების პროცესი“, კარგად ჩანს ბოლო წლების მოვლენების ანალიზიდანაც.

საქართველოს ფლორა და ფაუნა საქართველოს ისტორია და საქართველოს მომავალია. პროფესორ ზ. კაკაბაძეს აქვს საინტერესო ნათქვამი: „ეკოლოგიური ინდივიდუალობის მოშლა ერის ინდივიდუალობის მოშლასაც ნიშნავს“. აქედან დავასკვნათ: ეკოლოგიის სწავლება ქართულ ეროვნულ სკოლაში აუცილებელია ჩვენი მომავლისათვის.

პატრიოტიზმი თანდაყოლილი თვისებაა. ჩვენ მოვალენი ვართ, მისი განვითარება სწორი გზით წარვმართოთ. პირადად მე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მანიფესტაციებში მოსწავლეთა მონაწილეობა საჭიროდ მიმაჩნია, იგი პატრიოტის აღზრდის საუკეთესო სკოლაა, მაგრამ, უწინარესად ყოვლისა, მოზარდების უპირველესი მოვალეობაა სწავლა და სწავლა. მარტოოდენ ძახილი — „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ — არ გვიშველის. ამ შესანიშნავ იდეას რეალური ხორცშესხმა სჭირდება, იგი კი გულიანი გარჯითა და ბეჯითი სწავლით უნდა მოვიპოვოთ.

მჯერა, დადგება ის დრო, როცა ცოდნა შესაფერისად შეფასდება, დაფასდება და მაღალი განათლება ცხოვრების მაღალი დონის გარანტია იქნება.

ესაუბრა ნანა ფავლენიშვილი

გივი ჭიჭინაძე

## საით მიგვიხმობენ საყვირები

წინ, წინ გავხედოთ მომავალს
დაკვირვებით,
რათა ნაღდი მამულიშვილები
გვერქვას...
აი, საით მიგვიხმობენ
საყვირები,
რაზე ბუბუნებენ დღეს
მუხა და ძელქვა.
ავაყვაოთ
მესხეთი და ჯავახეთი,
დროა, მივუბრუნდეთ
მიტოვებულ მიწებს.
არა, სხვისთვის საყვედური
აღარ გვეთქმის,
გული თუ სასიკეთოდ გვიცემს!
ერთად უნდა დავირაზმოთ
დიდ-პატარა,
ნელ-ნელა გავფანტოთ
წუხილი და სევდა,
მტერ-მოყვარე ვცნოთ
წინაპარ გმირთა დარად,
რომ გავამხნევოთ
ჩვენი ადგილის დედა...
და როდესაც შევასრულებთ
დაპირებებს,
ტკბილი მრავალჟამიერიც
ვჭექოთ!
აი, საით მიგვიხმობენ
საყვირები,
საყვირები — ჩვენი გულების ექო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისწავლოთ შრომა

ვითომ საჭიროა გოგონამ, ქალმა გირაგზე მუშაობა, ლითონის ჭრა და ქლიბვა იცოდეს? არადა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს საშუალო სკოლებში შრომის გაკვეთილისთვის გამოყოფილი კვირაში ორი სასწავლო საათის განმავლობაში მოსწავლე გოგონები ნახევრად ნესტიან სარდაფებში განლაგებულ სახელოსნოებში, ბიჭებთან ერთად ეუფლებოდნენ საზეინკლო საქმეს (ზოგან უფრო მსუბუქ, სადურგლო საქმეს.), „ეუფლებოდნენ" და ხან საქლეში ქლიბით იქლითავდნენ ხელებს, ხანაც გირაგში იწეწკავდნენ. ზოგჯერ ეს გაკვეთილები გასვლით ხასიათს ატარებდა და ახლა ქარხნებში „ხარობდნენ" გოგონები. რომელ მათგანს უნდა დასჭირვებოდა ცხოვრებაში ასეთი შრომითი ჩვევები? რა უნდა მიეცა მომავალი ცოლების, დედებისათვის საზეინკლო საქმის თუნდაც ზედმიწევნით ცოდნას, რაც, ბუნებრივია, სავსებით გამორიცხული იყო? განა ბევრი ფიქრი და განსჯა უნდოდა იმას, რომ გოგონებისთვის უფრო უპრიანი თუნდაც ხელსაქმის სწავლება იქნებოდა? მაგრამ, ეტყობა, ამ საქმის მესვეურთ ან საერთოდ არ შეეძლოთ ფიქრი, ან რატომღაც არ უნდოდათ. ასე იყო თუ ისე, ამგვარი შეუსაბამობები კარგა ხანს იყო ფეხმოკიდებული და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ შრომით სწავლებაში; და კიდევ უფრო სავალალოა ის, რომ შეუსაბამობანი ახლაც საკმაოზე მეტია ჩვენს სკოლებში.

ვერაფერს ვიტყვით, სასკოლო ცხოვრება განახლების გზაზეა შემდგარი. ზოგი რამ უკვე შეიცვალა და ამ ზოგ რამეში შრომითი სწავლებაც შედის. დაინერგა შრომითი მეოთხედები, სემესტრები, გარიგებები საწარმოო თუ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებთან, დიფერენცირებული გახდა გოგონებისა და ბიჭების შრომითი სწავლება. ამ ბოლო ხანებში სულ უფრო მეტად ვრცელდება შრომითი სწავლების კიდევ ერთი ახალი ფორმა — სასკოლო მინი-ფაბრიკა-ქარხნები ქალაქად და სასწავლო მინი-მეურნეობები სოფლად. თვით მოსწავლეებს შრომითი სწავლების სწორედ ეს ფორმა უფრო მოსწონთ და, პირველ რიგში, ალბათ იმიტომ, რომ აქ უფრო მეტი დამოუკიდებლობა, საკუთარი უნარ-შესაძლებლობების შემოწმების საშუალება ეძლევათ. ამგვარი საწარმოების სიცოცხლისუნარიანობა, კეთილშედეგიანობა და, მაშასადამე, საჭიროება რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა გორის რაიონის ძევერის საშუალო სკოლის უფროსკლასელებმა და ამავე სოფლის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა დაამტკიცეს. ძევერელთა სასწავლო მეურნეობის სახით საუკეთესო მისაბაძი მაგალითი ჰქონდათ ქ. გორის მე-13 საშუალო სკოლის უფროსკლასელებს და ამიტომ არც გადაწყვეტილების მიღება გასჭირვებიათ და არც მისი განხორციელება.

შარშან საწარმოო გაერთიანება აგრომშენდეტალის გორის ხის დამამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელობის (დირექტორი დ. კაპანაძე) მონდომებითა და ხელშეწყობით ქარხანასა და სკოლას შორის დაიდო გარიგება სასწავლო მინი-ქარხნის შექმნის თაობაზე. ხის დამამუშავებელი ქარხნის ადმინისტრაციული კორპუსის ქვედა სართულზე დაიდო ბინა მინი-ქარხანამ თავისი დაზგა-დანადგარებით. იმ ხნიდან მოყოლებული, მეცამეტესკოლელი უფროსკლასელი ბიჭებისათვის აქ ტარდება შრომის გაკვეთილები. განრიგი ისე აეწყო, რომ თითო კლასს სამეცადინოდ კვირაში თითო დღე გამოეყო, იმაზეც შეთანხმდნენ, რომ მინი-ქარხანაში ბიჭები ყოველთვიურად შეუცვლიდნენ ერთმანეთს თანამდებობებს, რომ ყველასათვის მოეწია ბრიგადირობასაც, ბუღალტრობასაც და დირექტორობასაც. საქმე აეწყო, ყმაწვილები გახალისდნენ, ცდას არ აკლებდნენ, მხარი აუბეს საწარმოს შრომით რიტმს და უფროსების ქებაც სულ მალე დაიმსახურეს. მათი მონდომების შემხედვარე შეფებმა ხელშეწყობა გაუორმაგეს, ბიჭები სპეციალური ავტობუსით გადაჰყავთ, შესვენებაზე მათი კვებაც თავიანთ ხარჯზე მოაწყვეს.

სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდებოდა და, ბუნებრივია, სკოლის ხელმძღვანელობა უფროსკლასელთა შრომითი სემესტრის ორგანიზებისათვის ზრუნვას შეუდგა. სწორედ მაშინ იყო, რომ ხის დამამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელობამ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი და სასარგებლო წინადადება მისცა სკოლას — ბარემ შრომითი სემესტრიც ჩვენთან გაიარონ თქვენმა ბიჭებმაო. ითქვა და გაკეთდა კიდეც. ივნისის პირველი რიცხვებიდანვე ეწვივნენ მეცამეტესკოლელები საწარმოს. როგორ გამოადგათ დიდ ქარხანაში სასკოლო საწარმოში ნასწავლ-შეძენილი! არც სადურგლო სამუშაოზე იყვნენ ხამად და არც დამხმარე მუშების საქმე ეთაკილებოდათ, ზოგი კი ისე ყოჩაღობდა, რომ თვე რომ მიილია და შრომითი სემესტრიც დამთავრდა, უფროსები გულწრფელად გამოუტყდნენ ერთმანეთს, როგორ დაგვაკლდნენ ეს ჩვენი ბიჭები, რა გვეშველებაო. მაგრამ თავს იმით იმშვიდებდნენ, სექტემბრიდან ისევ აქ მოგვივლენ, ისევ მხარში ამოგვიდგებიანო. იმათ რიცხვში, ვისაც სიხარულის ღიმილით შეეგებებიან, უთუოდ იქნებიან ზვიად გოგლიძე, გენადი ბუქულაშვილი, სოსლან ფეზუაშვილი, ნუკრი ჯიოშვილი, პაატა ბარიშვილი, ვასილ გუძიევი, ემზარ თიბილაშვილი... ალბათ მათი რიცხვიდანვე უნდა ელოდოს ქარხანა საიმედო ცვლას.

მ. კარგარეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰეი, თქვენ!..



**ნუგზარ აფხაზავა**

მხატვარი
**იოსებ სამსონაძე**

ფანტასტიკური მოთხრობა

ახლა, თქვენი ნებართვით, განვაგრძობ.

ყოველ ვარსკვლავს გარშემო აკრავს ეგრეთ წოდებული სასიცოცხლო ზონა, რომლის ფარგლებშიც შენარჩუნებულია ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობისა და არსებობისათვის აუცილებელი ტემპერატურა — ზემოხსენებული კომპლექსის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. დიდი მასის (მაშასადამე, მაღალი ტემპერატურისა და ფართო სასიცოცხლო ზონის) მქონე ვარსკლავთა არსებობის დრო იმდენად მცირეა (თუმცა ეს „მცირე" მილიარდობით წელს მოიცავს), რომ მათს სასიცოცხლო ზონაში მოქცეულ პლანეტებზე არაცოცხალი მატერია, უბრალოდ, ვერ ასწრებს ცოცხალ მატერიად გარდაქმნა-განვითარებას. მეორე მხრით, მცირე ზომის ვარსკვლავებს, ბუნებრივია, დაბალი ტემპერატურა და იმდენად ვიწრო სასიცოცხლო ზონა აქვთ, რომ, საერთოდ, ამ ზონაში პლანეტის არსებობა ნაკლებ მოსალოდნელია. მაშასადამე, რჩება მხოლოდ ეგრეთ წოდებული „ოქროს შუალედი". აი, თუკი ამ შუათანა ჯგუფის ვარსკლავთა სასიცოცხლო ზონაში მოქცეულ პლანეტაზე ჩამოყალიბდება სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობათა კომპლექსი, რომლის კომპონენტთა რიცხვიც ორ ათეულს აღემატება, შეიძლება ველოდოთ, რომ აქ წარმოქმნილი ცოცხალი მატერიის ევოლუცია, ბოლოს და ბოლოს, მოაზროვნე არსებათა გაჩენამდე მიგვიყვანს... მაგრამ თქვენ, თუ არ ვცდები, რაღაც შეკითხვა დაგებადათ...

— დიახ, ბატონო პროფესორო. ხომ შეიძლება, რომ სასიცოცხლო ზონაში მოთავსებულ პლანეტაზე არაცოცხალი მატერია ცოცხალ მატერიად გარდაიქცეს და გარკვეულ დონემდე განვითარდეს კიდეც, მაგრამ შემდეგ რაიმე მიზეზით ევოლუცია შეწყდეს და გონიერი არსება აღარ წარმოიქმნას?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. თქვენ ოდნავ რომ მოგეთმინათ, — არა, ისე კი ნუ გამიგებთ, თითქოს გძრახავდეთ შეკითხვებისათვის,—ცოტა რომ მოგეთმინათ, დაინახავდით, რომ ჩემი საუბრის მთავარი ხაზი ნაწილობრივ მაგ თქვენი შეკითხვის პასუხისაკენ მიემართება.

დიახ, ყმაწვილებო, ასეთი პლანეტები არსებობს, და მე ახლა მრავალთაგან ერთ-ერთზე მოგიყვებით. ხოლო მერე, თუ დრო დაგვრჩა, იმასაც გეტყვით, თუ რატომ ავირჩიე მაგალითისათვის მაინცდამაინც ეს პლანეტა.

ჩვენი გალაქტიკის ერთ-ერთ უშორეს სპირალურ განშტოებაზე, იმ წერტილში, რომელიც გალაქტიკის ცენტრისაგან ორჯერ უფრო შორს მდებარეობს, ვიდრე მისი კიდისაგან, მოთავსებულია ერთი, თითქოსდა რიგითი, ორდინარული, სტაციონარული ვარსკვლავი. იგი საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს ჩვენს ჩვეულებრივ სასკოლო ტელესკოპებში. ამ ვარსკვლავის სისტემაში ცხრა პლანეტაა (ათასობით ასტეროიდზე არაფერს ვამბობ), რომელთაგან სამი — სახელდობრ მეორე, მესამე და მეოთხე — სასიცოცხლო ზონის ფარგლებში მდებარეობს. მეორე და მეოთხე პლანეტათა ორბიტები ზონის, ასე ვთქვათ, ექსტრემალურ წერტილებში, შიგა და გარე საზღვრების სიახლოვეს გადის. იდეალურ პირობებში — ზონის შუაში — მხოლოდ მესამე პლანეტა იმყოფება... დიახ, დიახ, გისმენთ, ბრძანეთ...

— რა ასაკისაა ეს პლანეტა, ბატონო პროფესორო?

— მისი ასაკი, ჩვენი სათვალავით, 190 წლითა და დაახლოებით 90 დღით განიზომება, მაშასადამე, იგი თითქმის ოთხასი წლით ახალგაზრდაა იმ დიდებულ პლანეტასთან შედარებით, რომელიც ჩემი და თქვენი სამშობლო და საცხოვრისია. აქვე გეტყვით (ისევ დავასწრებ თქვენს მორიგ შეკითხვას), რომ, ჩვენი მეცნიერების გაანგარიშებით, ჩვენთვის საინტერესო პლანეტის — მას, სხვათა შორის, დიხა ჰქვია — დროის შკალა ჩვენი მშობლიური პლანეტის დროის შკალისაგან ფრიად განსხვავებული აღმოჩნდა. კერძოდ, თქვენი წამწამის ერთ დახამხამებაში დიხაზე ათი თვე გაირბენს. ერთ წუთში — 50 წელი გაიქროლებს, ერთ საათში — 3 000, ერთ დღეში — 72 000, ერთ თვეში — 2 მილიონ 160 ათასი, ხოლო ერთ წელიწადში — 26 მილიონ 280 ათასი წელი. მაშასადამე, დიხას დროის შკალის მიხედვით, პლანეტის წარმოშობიდან დღემდე თითქმის ხუთმა მილიარდმა წელმა გაიარა.

— აუჰ! — თითქმის ერთხმად აღმოხდა მთელ აუდიტორიას.

— მე კარგად მესმის თქვენი: დიახ, ეს კოლოსალური რიცხვია. მაგრამ ახლა დაგისახელებთ ციფრებს, რომლებიც, ჩემი რწმენით, არანაკლებ გაგაკვირვებთ: თუ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე ჩაისახა პლანეტის წარმოშობიდან სულ რაღაც ოთხმოცდაათიოდე წლის შემდეგ (ჩვენი სათვალავით), დიხაზე სიცოცხლის უმარტივესი ფორმების წარმოშობას მათი სათვალავით თითქმის ოთხი მილიარდი წელი დასჭირდა... მაგრამ თქვენ ისევ რაღაც შეკითხვა გაგიჩნდათ, არა?

— დიახ, ბატონო პროფესორო. მე ასეთი რამ მაინტერესებს: თუ დიხაზე სიცოცხლის ჩასახვას მთელი ოთხი მილიარდი წელი მოუნდა, ხოლო თვით პლანეტა სულ ხუთი მილიარდი წლისაა, ცხადია, ბოლო ერთი მილიარდი წლის მანძილზე იქ სიცოცხლე იმდენად ვერ განვითარდებოდა, რომ მწვერვალამდე — გონიერ არსე-

დასასრული. იხ. „პიონერი" № 6, 7.

ბამდე ამაღლებულიყო. — შემკითხველმა მხრები აიჩეჩა. — უბრალოდ, დრო აღარ რჩება საამისოდ. და თუკი ასეა, მაშინ გაუგებარია, რის მაგალითად გამოდგება პლანეტა დიხა, რომელზედაც თქვენ ასე დაწვრილებით და ასეთი ინტერესით გვიამბობთ.

— მოითმინეთ და მოგახსენებთ. დიხა, ყმაწვილებო, უნიკალური პლანეტაა არა მარტო იმ თვისებებით, რომლებიც მას ახასიათებს და არა მარტო მისი თავგადასავლით, რაც ჩვენთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი, არამედ იმ ჩვენთვის წარმოუდგენელი კატაკლიზმებითაც, რომლებიც შეიძლება ახლო მომავალში დაატყდეს თავს.

აი, თქვენ, ჭაბუკო, გეცოტავათ ის მილიარდი წელი, რომელიც პლანეტა დიხას ბიოსფეროს ასაკად დავასახელე. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ვითომდა მცირე დროის განმავლობაში დიხაზე იმდენად მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა ჩამოყალიბდა, რომ იმასთან შედარებით ჩემი და თქვენი მშობლიური პლანეტა უბადრუკ ნახევარუდაბნოდ მოგეჩვენებათ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს მეცნიერებს, კერძოდ — ასტრობიოლოგებს, ბედმა გაუღიმა: როცა გენიალურმა კარ ხიდამ თავისი უნივერსალური რაუ-ველი აღმოაჩინა და თავისივე ნულ-გრავიგენერატორი გამოსცადა, პირველი ობიექტი, რომელთანაც მან რაუ-კავშირი დაამყარა, იყო პლანეტა დიხა, სადაც, ის-ის იყო, ისახებოდა სიცოცხლე. ამრიგად, რინ ლეგის, ზი აიხენსა და მათ კოლეგებს უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ, თვალ-ყური ედევნებინათ ამ შორეულ პლანეტაზე სიცოცხლის წარმოშობა-განვითარებისათვის და, თუკი მოისურვებდნენ, ნაწილობრივ ემართათ კიდეც იგი. ეს მოხდა დაახლოებით ოთხი წლის წინათ, ანუ დაახლოებით მილიარდი წლის წინ დიხელთა სათვალავით... გისმენთ, ქალიშვილო, მითხარით, გეთაყვა, რა გაინტერესებთ....

— თქვენ ბრძანეთ, ნაწილობრივ ემართათო... მაგრამ, რამდენადაც ვიცი, უცხო ცივილიზაციის ცხოვრების წესში ჩარევა სასტიკად აკრძალულია და მკაცრად ისჯება კანონით... ასე არ არის, ბატონო პროფესორო?



— მართალი ბრძანდებით, ქალიშვილო. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ დროს, — მაშასადამე, ამ ოთხი წლის წინათ (და კარგა ხნის განმავლობაში უფრო მოგვიანებითაც) ეს აკრძალვა ჯერ კიდევ არ არსებობდა. და მადლობა უფალს, — როგორც ძველად იტყოდნენ ხოლმე, — რომ იგი არ არსებობდა, თორემ პლანეტა დიხაზე დღესაც უბედურ რეპტილიათა პასიური ცივილიზაცია იქნებოდა გაბატონებული... მოითმინეთ. მე ვხვდები, რაც უნდა შემეკითხოთ, მაგრამ ვიდრე გიპასუხებდეთ, ცოტა რამ რაუ-ველზე მინდა მოგახსენოთ.

თქვენ, უეჭველია, კარგად იცით, რომ ყოველგვარი სახის ელექტრომაგნიტური ტალღის გავრცელების სიჩქარე აბსოლუტურად ერთნაირია. ჩვენ რომ დიხასთან რომელიმე სახის ელექტრომაგნიტური კავშირის (სიმარტივისათვის ეს ტერმინი ვიხმაროთ) დამყარება მოგვენდომებინა, სიგნალის გადაცემასა და მის მიღებას 48 ათასი სინათლის წელი დასჭირდებოდა (ჩვენსა და დიხას შორის მანძილი 24 ათას სინათლის წელს უდრის). კარ ხიდას რაუ-ველი კი უსასრულობამდე კუმშავს ამ უზარმაზარ სივრცეს, ხოლო ნულ-გრავიგენერატორი საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი ობიექტის — ამჯერად დიხას — ნებისმიერ წერტილში გავგზავნოთ ნებისმიერი სახის მყისიერი იმპულსი ჩვენი ნებისმიერი სურვილის აღსასრულებლად. მე ახლა, რა თქმა უნდა, არ მოვყვები კარ ხიდას გენიალური აღმოჩენის ფიზიკური, მათემატიკური და ბიოლოგიური ასპექტების განხილვას, საამისო დრო თქვენთვის ჯერ კიდევ არ დამდგარა და, რაც მთავარია, ჯერჯერობით საამისოდ არც შემზადებული ბრძანდებით. ყოველივე ამას უფრო ღრმად და დაწვრილებით ბოლო კურსებზე გაეცნობით.

ახლა, თქვენი ნებართვით, განვაგრძობ.

დიხაზე დაკვირვების დასაწყისში (მაშასადამე, ამ ოთხი წლის წინათ) პლანეტაზე უკვე არსებობდნენ უზარმაზარი მოუქნელი რეპტილიები — დინოზავრების მრავალსახეობა, აგრეთვე ზოგიერთი სახის ფრინველი და მწირი ფლორა, უმთავრესად ბალახეულობა და გიგანტური სპოროვანი მცენარეები. ამის შემდეგ ერთ წელიწადზე ოდნავ მეტმა განვლო (დიხაზე ამასობაში თითქმის ოცდაათმა მილიონმა წელმა ჩაიქროლა) და დინოზავრები მთლიანად გაბატონდნენ პლანეტაზე. მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარი ის არის, რომ ამ დროისათვის ისინი უკვე აზროვნებდნენ და შეეძლოთ ბგერითი სიგნალების გარეშე, ანუ ტელეპათიურად, გადაეცათ თავიანთი ნააზრევი ერთმანეთისათვის. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს იყო (შეიძლება ასე ვუწოდოთ) პასიური, სავსებით უმაქნისი ცივილიზაცია: დინოზავრები, ძირითადად, კანიბალები იყვნენ (თუმცა ბალახისმჭამელებიც ერიათ), ისინი არ შრომობდნენ, არაფერს ქმნიდნენ (უპირველეს ყოვლისა, არ ქმნიდნენ შრომის იარაღებს), არ აშენებდნენ, არ ხნავდნენ, არ თესავდნენ, არ მკიდნენ, მარტო მზამზარეულ საკვებს ართმევდნენ ბუნებას და ამ ბუნების მხოლოდ ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ — ხის, ბალახის, ნიანგის, კუს მსგავსად... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო ცივილიზაცია, რომელიც საკუთარ თავში ჩაიკეტა, გამოუვალ ჩიხში მოექცა. არადა, დაახლოებით ამავე ხანაში პლანეტაზე გამოჩნდნენ ძუძუმწოვარა ცხოველები, რომელთა მრავალფეროვნება და საოცარი მუტაციის უნარი მათი გონიერ არსებებამდე ამაღლების დიდ იმედებს იძლეოდა. და აი, სწორედ მაშინ ახალშექმნილი სიკომეკოს (სისტემური კოსმოსური მეთვალყურეობის კომიტეტის) პირველმა პრეზიდენტმა — რინ ლეგიმ და ზი აიხენმა გადაწყვიტეს, საქმით გამოეცადათ რაუ-ველისა და ნულ-გრავიგენერატორის ეფექტურობა: მათ უბრძანეს დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოზავრებს, **წასულიყვნენ** ასპარეზიდან და ძუძუმწოვართა მრავალსახეობისათვის დაეთმოთ პლანეტა დიხა... თქვენ ალბათ ხვდებით, რომ იმ ცივილიზაციისათვის, რომელმაც არამცთუ რაკეტა და კოსმოსური ხომალდი, არამედ ბარი და კომბალიც კი არ იცის რა არის, პლანეტიდან **წასვლა** თვითმკვლელობას ნიშნავს.

და აჰა, სიკომეკოს პროგრამის დაწყებიდან ერთი წლისა და 210 დღის შემდეგ დიხაზე არც ერთი დინოზავრი აღარ ჭაჭანებდა, არც მტაცებელი და არც — ბალახისმჭამელი.

გადიოდა დრო, ჩვენთან — ჩვეულებრივად, დიხაზე — ელვისებური სისწრაფით. მეოთხე წლის დასაწყისში პლანეტაზე მთლიანად გაბატონდნენ ძუძუმწოვრები. ამ მომენტიდან ასიოდე დღის გასვლის შემდეგ (რაც თითქმის იქაურ რვა მილიონ წელს უდრის) გამოჩნდნენ პირველი ჰომინიდები — თანამედროვე დიხელთა შორეული წინაპრები, ხოლო ჩვენი დაკვირვების დაწყებიდან სამი წლისა და ორას სამოცდაათი დღის შემდეგ — პირველი პითეკანთროპები...

მაგრამ აი, ზარიც დაირეკა. ახლა შევისვენოთ და მცირე ხნის შემდეგ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი... არა, გთხოვთ, ნურარაფერს მკითხავთ, თქვენც დაღლილები ხართ და მეც. ასე რომ, შევისვენოთ, ყმაწვილებო...

## 11. სიკომეკოს ფონოგრამა

(საუბარში სამნი მონაწილეობენ: სიკომეკოს პრეზიდენტი ზი აიხენი, გალაქტიკური სოციოლოგიის დოქტორი, სამართლიანობის ინსტიტუტის დირექტორი



ვერგ რალი და ნულ-გრავიგენერატორის მთავარი ოპერატორი რევ მირირი).

**ზ. აიხენი** — ჩვენ შევისწავლეთ ნულ-გრავიგენერატორისა და მისი კომპიუტერის ყველა ჩანაწერი, რევ მირირ. სურათი ცხადზე უცხადესია. (პაუზა). თქვენს მოქმედებაში ზოგი რამ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით ასე თუ ისე გასაგებია, ზოგი რამ კი... (პაუზა). ამიტომ გვინდა, რომ თავად გვიამბოთ ყველაფერი.

**რ. მირირი** — სხვანაირად რომ ვთქვათ, თავი ვიმართლო, არა?

**ზ. აიხენი** — მე ეს არ მითქვამს.

**ვ. რალი** — ილაპარაკეთ, რევ მირირ. დროს ნუ ვკარგავთ.

**რ. მირირი** — კეთილი. (ღრმად ამოისუნთქა). ასე იყოს. (პაუზა). პირველი — ნეანდერტალელი ჭაბუკი გახლდათ, სახელად ჯი — შინაურები ასე ეძახდნენ. სიკომეკოს პროგრამის მეორე წლის 210-ე დღის მეცამეტე საათი იდგა. ის-ის იყო, ბიჭს მშვილდისრის იდეა მოუვიდა თავში. მე კი მთელი მათი ტომი საამისოდ მოუმზადებლად ჩავთვალე. მშვილდისრით განა მარტო ცხოველებზე ინადირებდნენ, ერთმანეთსაც დახოცავდნენ. ამიტომ ერთი კაცის გაწირვა ვამჯობინე.

**ვ. რალი** — მაგრამ მშვილდისარი მაინც გამოიგონეს...

**რ. მირირი** — ვიდრე ეს მოხდებოდა, დიხაზე, პლანეტის ანგარიშით, საკმაო დრომ განვლო, ადამიანები მომრავლდნენ და, ძალიანაც რომ მოენდომებინათ, მარტო მშვილდისრით ერთმანეთს ველარ ამოხოცავდნენ.

**ზ. აიხენი** — მაშასადამე, ამ შემთხვევაში თქვენ ჰუმანური პრინციპით მოქმედებდით, კეთილი სურვილი გამოძრავებდათ, კაცობრიობის მომავალზე ზრუნავდით, არა?

**რ. მირირი** — ამ შემთხვევაშიც და... (პაუზა) შემდეგაც.

**ვ. რალი** — მაინც, როგორ ფიქრობთ, — მიუხედავად მოტივისა, თქვენი საქციელი ჩვეულებრივ მკვლელობათა კატეგორიას ხომ არ განეკუთვნება, რევ მირირ?

**რ. მირირი** — (უყოყმანოდ, მხურვალედ, ჩემი მტკიცე რწმენით — არა! მკვლელად არასოდეს მიგრძვნია თავი. მკვლელი მაშინ ხარ, როცა გონებრივად შენს თანაბარ არსებას ჰკლავ. მე ასე მწამს. დიხელები კი...

**ზ. აიხენი** — განაგრძეთ, რევ მირირ.

**რ. მირირი** — (ღრმად ამოისუნთქა). ზუსტად ერთი დღის შემდეგ ქალაქ ბაბილონში ნასანის სხივით გავგმირე მეფე ალექსანდრე მაკედონელი. ვიდრე მოვკლავდი, მან ბევრი სისხლის დაღვრა მოასწრო, მაგრამ კიდევ ბევრის დაღვრას აპირებდა. ამიტომაც უყოყმანოდ მოვუღე ბოლო.

**ვ. რალი** — მაშასადამე, აქაც კეთილშობილური მიზნით მოქმედებდით, არა?

**რ. მირირი** — დიახ, რა თქმა უნდა.

**ვ. რალი** — მაგრამ სულ რაღაც 4-5 წუთით ადრე არანაკლები რაოდენობის სისხლი დაღვარა მეფე კიროსმა. ის რატომღა არ დასაჯეთ? ვერ გაიმეტეთ?

**რ. მირირი** — გამომეპარა. (პაუზა). ბოლო ხანს პლანეტაზე ისე სწრაფად იცვლება ვითარება, რომ თვალის მიდევნება ჭირს. სხვათა შორის, ამის შესახებ მე ერთხელ უკვე მოვახსენე ჩემი აზრი სიკომეკოს.

**ზ. აიხენი** — მართალია. მაგრამ ჩვენ, უბრალოდ, რეაგირება ვერ მოვასწარით. როცა პატაკი წავიკითხეთ, ყველაფერი დამთავრებული იყო.

**ვ. რალი** — ეს სამწუხაროა. შემდეგ, რევ მირირ?

**რ. მირირი** — აკი მოგახსენეთ, დიხაზე ვითარება კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება-მეთქი. ერთხელაც ერთი საინტერესო მოვლენის დაკვირვებით გავერთე. ჯვარს გააკრეს და წამებით მოკლეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც სიკეთეს ქადაგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიკეთე ყველას როდი აძლევდა ხელს. მართალია, ის კაცი წამებით კი მოკლეს, მაგრამ მისმა მოძღვრებამ მალე მთელ დიხაზე ღრმად და ფართოდ გაიდგა ფესვები. და ვიდრე მე ამ ამბებს ვაკვირდებოდი და მათში გარკვევას ვლამობდი, პლანეტაზე ბევრი რამ შეიცვალა, ბევრმა წყალმა ჩაიარა და შემდეგი სისხლისმს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი, რომელსაც ბოლო მოვუღე, ჯალალ ად-დინი გახლდათ. ეს მოხდა სიკომეკოს პროგრამის მეოთხე წელს, ამ წლის 293-ე დღის მერვე საათზე (უფრო ზუსტად — 7 საათსა, 25 წუთსა და 55 წამზე).

ვ. რალი — ეს ციფრები ზუსტად ასევეა ფიქსირებული?

რ. მირირი — რალა თქმა უნდა.

ვ. რალი — ამის შემდეგ თქვენ მოჰკალით ხევეში და კარანაძე. რა მიზეზით ან რა მიზნით? ისინი ხომ, თქვენი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, სისხლისმსმელები არ ყოფილან? მაშ, რას ემართლებოდით?

რ. მირირი — დიახ, სისხლისმსმელები არ ყოფილან, ეს მართალია. (პ ა უ ზ ა). მაგრამ ხევეშის აღმოჩენა კაცობრიობას, დარწმუნებული ვარ, მძიმე უბედურებად მოუბრუნდებოდა: ამ მეცნიერულ მიღწევას დიხელები მაშინვე სამხედრო მიზნებისათვის, ერთმანეთის გასაჟლეტად გამოიყენებდნენ, ისევე, როგორც ეს მოხდა ბირთვული რეაქციის აღმოჩენის შემთხვევაში.

ვ. რალი — აი, ხედავთ? თქვენ ხელი არ ახლეთ კიურის, რეზერფორდს, ჩედვიკს, ბორს, სცილარდს, ფერმის, კურჩატოვს, ოპენჰეიმერს... ხევეში კი მოსპეთ. რატომ?

რ. მირირი — (ო დ ნ ა ვ ი   გ ა ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ი თ). აკი მოგახსენეთ, ყველაფერს თვალი ვერ მივადევნე-მეთქი?

ვ. რალი— მაშ, დავიჯერო, ადოლფ ჰიტლერიც გამოგეპარათ? ის ხომ, რამდენადაც ვიცი, ჯალალ ად-დინზე ნაკლები სისხლისმსმელი არ ყოფილა! ასე არ არის?

რ. მირირი — მეტიც. (პ ა უ ზ ა). იცით, აქ ცოტა სხვაგვარად იყო საქმე. ჰიტლერი არასერიოზულ პიროვნებად მივიჩნიე, ვიფიქრე, ვიდრე ძალაუფლებას ხელთ იგდებდეს, თავად დიხელები მოუვლიან-მეთქი, და სათვალავში არ ჩავაგდე. დიხელებიც, ეტყობა, ჩემსავით მოტყუვდნენ. სულ რაღაც წუთით მოვარიდე თვალი, წუთითაც კი არა — აინშტაინს ვაკვირდებოდი... და აი, ასეთი ამბები კი დატრიალდა.

ზ. აიხენი — ვერგ რალ, მე მესმის რევ მირირისა.

ვ. რალი — მერწმუნეთ, მინდა, რომ მეც გავუგო. კარანაძეზე რაღას იტყვით, რევ მირირ?

რ. მირირი — (პ ა უ ზ ი ს   შ ე მ დ ე გ). კარანაძე? ისიც ნასანის სხივით განვგმირე იმ მომენტში, როცა ერთი ბრწყინვალე იდეა მოუვიდა თავში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა იქნებოდა, რომელსაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიუახლოვდა. იმ იდეიდან რაუ-ველამდე და ნულ-გრავიგენერატორამდე ერთი მოკლე ნაბიჯიღა რჩებოდა. ამჯერად ჩვენი პლანეტის (შესაძლოა, მთელი ცივილიზებული გალაქტიკის) უშიშროების მოტივით ვმოქმედებდი.

ვ. რალი — უშიშროების? კი მაგრამ, რამ გაფიქრებინათ, რომ ამ იარაღს (ასე ვუწოდოთ მას) პლანეტა დიხა ჩვენდა საზიანოდ გამოიყენებდა?

რ. მირირი — (გ ა ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ი თ). თქვენ კი გაქვთ გარანტია, რომ არ გამოიყენებდა?

ზ. აიხენი — (ი ც ი ნ ი ს). რა თქმა უნდა, ამის გარანტია არ არსებობს.

რ. მირირი — მე მაინც მწამს, რომ სწორად მოვიქეცი. დიხა (სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებნი მას დედამიწას უწოდებენ) ფრიად საშიში, სახიფათო, აგრესიული პლანეტაა. დიხელები ძალზე წინდაუხედავი და მოუსვენარი ხალხია. ძალიან ბევრია ბოროტი, თუმცა კეთილიც ურევია...

ვ. რალი — ისევე, როგორც ყველგან...

რ. მირირი — არიან ჭკვიანებიც და უგუნურნიც, პატიოსნებიც და უსინდისონიც. ეს ადამიანები გასაოცა-



რი ქარაფშუტობით ეპყრობიან თავიანთ მშობლიურ პლანეტას, რომელზედაც უნიკალური სასიცოცხლო პირობებია — ნელ-ნელა იწამლავენ თავს ათასგვარი ტექნოლოგიური მავნე ნარჩენებით, დაუნდობლად ანადგურებენ ბუნებას, თანდათანობით სჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თავად სხედან, და ვერ შეუგნიათ, თუ რა სერიოზული გენეტიკური ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას... კიდევ მეტი — ერთმანეთის ჯიბრითა და წამხედურობით მათ თერმოატომგულური იარაღის ისეთი კოლოსალური პოტენციალი დააგროვეს, რომ ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯის ან უნებლიე შეცდომის წყალობით ყოველ წამში შეიძლება მთელი პლანეტა გავარვარებული აირის უფორმო ღრუბლად გადაიქცეს.

ზ. აიხენი — ვითომ უგუნურება გადასწონის გონიერებას?

რ. მირირი — ვინ იცის! ამ პლანეტისაგან ყველაფერია მოსალოდნელი!

ვ. რალი — ჰოდა, რაკი ასეა, რაკი არავინ იცის, თუ ვინ—ვის და რა—რას აჯობებს და გადასძალავს, ავდგეთ და ჩვენც ნებას მივუშვათ! მოდით, ამიერიდან ნულარ ჩავერევით მათ ცხოვრებაში, დაე, თავად გადაჭრან თავიანთი პრობლემები, თავად იმტვრიონ თავი, თავად განსაზღვრონ საკუთარი ბედი და მთელი პლანეტის მომავალი! გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო, — ნათქვამია!

ზ. აიხენი — (რ ა ღ ა ც ნ ა ი რ ი   შ ვ ე ბ ი თ). სიკომეკოს აზრიც ასეთი გახლავთ, ძვირფასო რალ!

## 12. კოდექსის დანამატი

„სასტიკად იკრძალება ყოველგვარი (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) ჩარევა უცხო ცივილიზაციათა ყოფაცხოვრებაში მიუხედავად იმისა, ხელოვნურია ეს ცივილიზაცია თუ თავისთავადი, როგორია (გოლიათური, ჩვენი რანგისა თუ ჯუჯა), რა ტექნოლოგიური დონისაა (გვისწრებს, თანატოლია თუ ჩამოგვრჩება) და რა გზით (დაღმავალით თუ აღმავალით) მიემართება იგი.

ამ აკრძალვის დამრღვევი ნებისმიერი პირი (მიუხედავად ასაკისა, სქესისა, თანამდებობისა) დაისჯება შეუქცევადი სიკვდილით ყოველგვარი ახსნა-განმარტების, კვლევა-ძიებისა და სასამართლოს გარეშე.

(ეს აკრძალვა ჩაითვალოს არსებული სრულიად გალაქტიკური კოდექსის მეორე მუხლად. შესაბამისად, მომდევნო მუხლები გადაინომროს).



## 13. მშვიდი იყო ღამე...

აგვისტოს უმთვარო ღამეა, მაგრამ ცაზე იმდენი ვარსკვლავი მიმოფანტულა და ყველა ისე კაშკაშებს, თან ირმის ნახტომიც ისეა გაცისკროვნებული, თანამოსაუბრის თვალების ფერსაც კი გაარჩევ კაცი.

აივანი ვრცელ ველს გადაჰყურებს, რომელიც ჰორიზონტის მიმართულებით ნელ-ნელა ქვევით ეშვება და სადღაც, აქედან შორეთში, მარად მბორგავ ვეება სხეულს — ზღვას უერთდება.

აივანზე სუსტი ნიავი ჰქრის, იმდენად სუსტი, რომ აკაციის ფოთლებსაც კი ვერ აშრიალებს. გარშემო დიდი სიჩუმე დავანებულა, ისეთი სიჩუმე, როცა ერთნაირად გესმის საკუთარი და თანამოსაუბრის გულისცემა და კიდევ — ვარსკვლავების მშვიდი საუბარი, შორეულ ჩურჩულად რომ აღწევს შენამდე.

აივანზე, ბამბუკის ორადგილიან სავარძელში, ორნი სხედან — ქალი და კაცი. ცას შეჰყურებენ. სდუმან.

— ჩუ! — უცებ ამბობს ქალი, თავს ოდნავ აბრუნებს და სმენად იქცევა. — ბავშვმა ხომ არ წამოიტირა?

სუნთქვა შეიკრეს, ჩქამიც არ ისმის ოთახიდან.

— მოგეჩვენა, — დაამშვიდა კაცმა.

— ალბათ, — დაეთანხმა ქალი.

ცა მეტეორმა გადასერა. ცეცხლოვან ისრად გაიელვა და ჩაქრა.

— მოასწარი? — ჰკითხმა ქალმა.

— რა?

— არ ჩაუთქვი ნატვრა? გაელვებიდან ჩაქრობამდე თუ მოასწარი რაიმეს ნატვრა, აუცილებლად აგისრულდება. არ ჩაუთქვი?

— არ ვიცოდი. თუმცა რა, ისედაც ყველა ნატვრა ამისრულდა და მისრულდება.

— მაინც? მაინც?

— შენს სიყვარულს ვნატრობდი და — ამისრულდა, აგერ, გვერდით მყავხარ. შვილს ვნატრობდი, თანაც ბიჭს, და არც ეს ნატვრა გამცუდებია. ახალგაზრდები ვართ, ჯანმრთელები, ბედნიერები. მეტი რა მინდა...

— ჰო, ეს მართალია...

სადღაც, შორიახლო, შაშვმა წამოიმღერა ძილში. წამოიმღერა და მყისვე დადუმდა. ქალმა წყნარად გაიცინა.

— რა იყო?

— არ დამიჯერებ...

— დაგიჯერებ.

— აგერ, იმ ვარსკვლავს ხედავ? აი, მშვილდოსნის თანავარსკვლავედში, აივნის კუთხის ბოძისაგან ოდნავ მარჯვნივ, ლალისფრად რომ ციმციმებს... ხედავ?

— ჰო, ვხედავ. მერე?

— უცებ მომეჩვენა — სასაცილოა, არა? — თვალებში ჩამხედა-მეთქი, და შევკრთი.

— რატომ?

— იცი, როგორ ჩამხედა? როგორც შენ იცი ხოლმე, ვიდრე ლაწვზე თითებით მომეფერებოდე. უცნაურია, არა?

— უცნაური? ჰო, რა თქმა უნდა. უცნაურია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— რა და, როგორ გაბედა და თვალებში ჩაგხედა?! თანაც ისეთნაირად, ჩემსავით?!

— ეჭვიანობ? — იცინის ქალი. — ეჭვიანობ?

— ჰეი, თქვენ! — მუშტით დაემუქრა ლალისფერ ვარსკვლავს ეჭვიანი მამაკაცი. — სულერთია, ვინცა ხართ და რაცა გქვიათ, არ გაბედოთ და მეორედ ჩემს ლამაზ ცოლს თვალებში აღარ ჩახედოთ, თორემ... თო-რემ...

— გაიგეთ? — მხარი აუბა ქალმა. — ჰეი, თქვენ! გაიგეთ თუ არა? ჩემს მამაც ქმარს არ სურს, რომ მის ცოლს ვინმემ, ვიღაც გადამთიელმა თვალებში ჩახედოს! — ახლა და კარგად დაიმახსოვრეთ ეს, თო-რემ...

მშვიდი იყო ღამე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდგორი



დავით აღმაშენებელმა გამეფებისთანავე დაიწყო ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ და მცირე რაზმებით თავს ესხმოდა დამპყრობელთა მოთარეშე გუნდებს. თურქ-სელჩუკთა საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად რჩებოდა XII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგსაც. ამ დროისათვის საქართველომ თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწია. ეს იყო სამშვილდის აღება 1110 წელს, თურქთა დამარცხება თრიალეთთან იმავე 1110-ში, რუსთავის აღება 1115 წელს, გამარჯვება ტაო-კლარჯეთში 1116 წელს, ლორეს აღება და შემოერთება 1118 წელს.

ყივჩაღთა გადმოსახლებისა და ახალი ლაშქრის ორგანიზაციის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაფართოვდა. 1120 წლიდან დავითმა თურქთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედება საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა. 1120 წლის თებერვალში მან მუსრი გაავლო თურქებს ბორტიაში, შემდეგ აიღო ქალაქი ყაბალა (შირვანში), ამავე წლის ნოემბერში „მოსრნა“ თურქნი აშორნიასა და სეგვილამეჯს. 1121 წლის მარტში მან სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკნი ხუნანს, ხოლო ივნისში — ბარდავს. ამავე დროს დავით აღმაშენებელი თავს ესხმოდა თვით მუსლიმან მფლობელთა ქვეყნებს და მახლობელ აღმოსავლეთში თურქული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ წარმატებებს აღწევდა.

ქართველი მეფის ასეთი წარმატებების შედეგად შევიწროებული მუსლიმანები მძიმე დღეში ჩავარდნენ. ეს გახდა მიზეზი კოალიციური ლაშქრობისა საქართველოს წინააღმდეგ და იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც 1121 წლის აგვისტოში მოხდა დიდგორს. თუმცა დიდგორს სხვა კონკრეტული მიზეზებიც ჰქონდა, კერძოდ, დავითის ბრძოლა თბილისისათვის. თბილისი ამ დროს არავის ემორჩილებოდა — იგი ქალაქ-რესპუბლიკას წარმოადგენდა და დამოუკიდებელი თვითმმართველობა ჰქონდა.

დავითმა კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის აღებასა და შემოერთებას. 1110-1118 წლებში სამშვილდის, რუსთავის და ლორეს აღებით მან თბილისი, ფაქტობრივად, ალყაში მოაქცია, მაგრამ თვით ქალაქის შემოერთებას არ ჩქარობდა. საჭირო იყო შინაური რეფორმების დასრულება და სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ორიოდე წლის შემდეგ, 1120 წლიდან კი დავითმა დაიწყო თბილისის შევიწროება და მისი შემოერთებისთვის ნიადაგის მომზადება.

ქართველი მეფის მიერ შევიწროებულმა თბილისის ზედა ფენამ იგრძნო დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხე და მაჰმადიანურ სამყაროში დამხმარე ძალებისა და მფარველის ძებნა დაიწყო. „ქალაქის უხუცესებმა“ ჯერ არანისა და განძის გამგებელ თოღრულ მუჰამედის ძეს სთხოვეს დახმარება, 1121 წელს კი თურქები და „ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე... და მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი მოწევნულნი მათ ზედა“. დავითის ისტორიკოსის ამ ცნობიდან ჩანს, რომ მეფე დმანისის მიმართაც ისეთსავე პოლიტიკას ახორციელებდა, როგორც თბილისის მიმართ, და რომ ამ ქალაქებთან კავშირში აღმოჩნდა მეზობელი ქვეყნის ქალაქიც — განძა. ე. ი. დავითის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ არა მარტო საქართველოდან გაძევებული და არაერთხელ დამარცხებული სელჩუკები, არამედ დამოუკიდებელი ქალაქებიც, რომლებიც თურქთა განდევნის შემთხვევაში კარგავდნენ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საშუალებას, ასევე საკუთარ მფლობელობას ქალაქებში. სწორედ ეს იყო, ისტორიკოსთა აზრით, დიდგორის ბრძოლის უშუალო მიზეზი.

მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი ნეჯმ ედ-დინ ილ-ღაზის მეთაურობით საქართველოში მანგლის-თრიალეთის გზით შემოვიდა. 1121 წლის 10 აგვისტოსათვის მტრის დაახლოებით 300.000 მეომარი მანგლის-დიდგორში დაბანაკდა.

დავით აღმაშენებელმა ბრძოლის ველზე 56 ათასამდე მეომარი გამოიყვანა — 40 ათასი ქართველი მოლაშქრე, 15 ათასი ყივჩაღი, 500-კაციანი ოსთა დაქირავებული რაზმი და 200-მდე „ფრანგი“ (ევროპელი ჯვაროსნები). მთავარ ძალას ამ მეტად მნიშვნელოვან ბრძოლაში საკუთრივ ქართული ლაშქარი წარმოადგენდა. ჯვაროსანთა 200-კაციანი რაზმის მონაწილეობას ამ ბრძოლაში, გარდა სამხედრო მნიშვნელობისა (და ალბათ უფრო მეტადაც), გარკვეული სიმბოლური და პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. როგორც ჩანს, დაქირავებული 500 ოსი მოლაშქრის გამოყენებაც, მაშინ, როდესაც დავითს საკმაო მუდმივი მოლაშქრე ჰყავდა რეზერვში, გარკვეულ ტაქტიკურ მიზანს ისახავდა.

ქართველთა ლაშქარი ნიჩბისის ხევში დაბანაკდა. უკან დასახევი გზა ჩაიხერგა. ლაშქრის ძირითად ნაწილს, რომელსაც ბრძოლა უნდა დაეწყო, თვით მეფე სარდლობდა. დანარჩენი ნაწილი, დემეტრე დავითის

ძის სარდლობით, მთას იყო ამოფარებული, და მოულოდნელად უნდა გადასულიყო შეტევაზე. ბრძოლის დაწყების წინ დავითმა ქართველ მეომრებს სიტყვით მიმართა, თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდა და უკან დახევის შეუძლებლობაც შეახსენა. სელჩუკებმა, როგორც ყოველთვის, ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის, საშინელი ხმაური ატეხეს. დავითი ამშვიდებდა თავის მოლაშქრეებს და მტრის მოახლოებას ელოდა. მან ტაქტიკურ ხერხს მიმართა — ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა მხრიდან 200 მხედარი მტრის ბანაკისკენ გაემართა; მაჰმადიანებს ისინი მოღალატეები ეგონათ და თავის ბანაკში შეუშვეს, მაგრამ მათ მოულოდნელად ბრძოლის ყიჟინა დასცეს და თურქებს დაერივნენ. მეფის მიერ წარგზავნილმა რაზმმა თავისი მისია შეასრულა: დააბნია მტერი და არევ-დარევა შეიტანა სელჩუკთა რიგებში. მაშინ ქართველთა ლაშქარმა მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია — დასავლეთიდან დავითი ძირითადი ძალებით, ხოლო დიდგორის მთიდან დემეტრე ეკვეთნენ მტერს. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მეფემ „წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“ ბრძოლის საქმე. სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. სომეხი ისტორიკოსის მატთეოს ურჰაეცის სიტყვით, იმ დღეს მოხდა „სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა“, მათმა გვამებმა დაფარა მთა და ბარი, ხევები და მდინარეები.

დიდგორის ველზე 12 აგვისტოს ქართველებმა დიდი დავით აღმაშენებლის სარდლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დავითი არ დაკმაყოფილდა მარტო ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებით, ფეხდაფეხ სდია უკუქცეულ მტერს და მისი ლაშქრის ნარჩენებიც გაანადგურა. თურქ-სელჩუკთა ზარალი საკმაოდ დიდი იყო. ამას ადასტურებს ამ ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი. ქართველთ დიდძალი ნადავლი დარჩათ იარაღ-საჭურვლის, ძვირფასი ნივთების, ტყვეებისა თუ სხვა სახითაც. ქართველებმა შედარებით მცირე მსხვერპლით შესძლეს ამ დიდი გამარჯვების მოპოვება, გამარჯვებისა, რომელმაც დაამტკიცა ქართველი ხალხის უშრეტი ბრძოლისუნარიანობა და მისი მეფის დიდი სამხედრო ნიჭი.

დიდგორის ველზე გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. ამ ბრძოლამ ცხადყო, რომ საქართველოს სამეფოს სახით მაჰმადიანურ სამყაროს სერიოზული, ძლიერი მეტოქე გაუჩნდა. ამ ბრძოლამ ძირი გამოუთხარა მითს თურქთა უძლეველობის შესახებ და გზა გაუხსნა დავითს სხვა გამარჯვებებისაკენ. ამავე დროს, ეს გამარჯვება ეხმაურებოდა კავკასიის ხალხთა ინტერესებს — მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის დამარცხების შემდეგ დავითს გზა ხსნილი ჰქონდა თბილისისაკენ. დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა არა მარტო თურქ-სელჩუკთა ლაშქარი დაამარცხა, მან მოსპო იმ ქალაქების დამოუკიდებლობა და გაერთიანებაც, რომლებიც ამ ლაშქარს იწვევდნენ დავითის წინააღმდეგ.

დიდგორის ველზე გამარჯვების წელსვე გაილაშქრა დავითმა თბილისზე, მაგრამ ქალაქი მხოლოდ მეორე წელს, ე. ი. 1122 წელს აიღო. მეფემ ქალაქი სამეფოდ გამოაცხადა, მაგრამ მას ჯერ კიდევ შეუნარჩუნა თვითმმართველობა. მალე დავითმა ეს თვითმმართველობაც გააუქმა, თბილისი მეფის მოხელეებს დაუქვემდებარა და სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. მომდევნო, 1123 წელს, დავითმა აიღო ქალაქი დმანისი. ამ ორი ქალაქის შემომტკიცებით დასრულდა ქართული მიწა-წყლის გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი. ამ დროიდანვე იწყება თბილისის, როგორც ერთიანი საქართველოს დედაქალაქის ისტორია.

**ზაზა აბაშიძე,**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი

მხატვარი ჯ. მახარაძე

## ამაგდარი

# მეზღაპრე სხვენზე ცხოვრობს

ედუარდ ამბოკაძე

ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, № 39 სახლში, მე-12 სართულზე, სხვენზე გამართულ სახელოსნოში ცხოვრობს მხატვარი.

ამ სახლს ერთ მხარეს მდინარე ვერეს ხეობა ეკვრის, პროსპექტის მხრიდან კი ზურმუხტისფრად აქოჩრილი ვაკის პარკი მოჩანს, რომელსაც კუს ტბის მოქარგული ფერდობი ამშვენებს და უძოს ლურჯი მთა დაჰყურებს. თავი ზღაპარში გეგონება, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედის სახელოსნოა.

ჩვენი მასპინძელი ძალზე საინტერესო ხელოვანია — საქართველოს სახალხო მხატვარი ჯემალ ლოლუა.



ძია ჯემალი აქ თავის შვილებთან — თამრიკოსთან, გიორგისთან და მეუღლესთან — ქალბატონ ინგასთან ერთად ცხოვრობს. აქ ყველაფერი მხატვრის სულით სუნთქავს. სამუშაო ოთახში უამრავი წიგნი, ფუნჯი, საღებავი და ფანქარია. ძუნწად გამოფენილი სურათები (ყველა მხატვარს არ უყვარს თავისი ნამუშევრის დღედაღამ ყურება), მაგიდაზე გაშლილი დამთავრებული თუ დაუმთავრებელი ნამუშევრები, ეგრეთ წოდებული „შავი“ ნახატები... უყურებ ერთი შეხედვით თითქოს იოლად, კალმითა და ტუშით დახატულ რომელიმე სურათს... დიახ, ერთი შეხედვით ადვილად-მეთქი, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ღრმად მწამს — ჭეშმარიტი ხელოვნება მხოლოდ ასეთი, „ადვილად“ მისაღებია. დიდი მხატვრობა არასოდეს არ არის პომპეზური, ზედაპირული, ყალბი. ჯემალ ლოლუას მხატვრობა კი საოცარი, ფანტასტიკურია. ამიტომაც ვუწოდე მე ამ ავტორს მეზღაპრე, მით უფრო, რომ ზღაპარს, როგორც თემას, მის შემოქმედებაში ძალზე დიდი ადგილი უჭირავს.

ჯემალ ლოლუამ 30 წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი მასწავლებლები იყვნენ ლადო გრიგოლია, სერგო ქობულაძე,



თამრიკო და გიორგიც ხატავენ და მამასთან ერთად მსჯელობენ თავიანთი ნამუშევრების ავ-კარგზე







ქართული ხალხური ზღაპრების ილუსტრაციები

„რძალ-მაზლისა“

„სიზმრის ახსნა“

„ხელმწიფის შვილი და მისი მეზობლები“



„მებადურის შვილი“

იოსებ შარლემანი, ვასილ შუხაევი — თითოეულმა მათგანმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ სახვით ხელოვნებას.

ძია ჯემალის ნამდვილი, დიდი შემოქმედებითი მუშაობა აკადემიის დამთავრების შემდეგ დაიწყო, თუმცა პრესაში გამოქვეყნებულ მის ნახატებს ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდით. დიახ, იგი ძალიან მალე იქცა პოპულარულ მხატვრად, საინტერესო ავტორად ჟურნალებისათვის: „ნიანგი“, „დილა“, „პიონერი“; იგი მიიწვიეს საბავშვო გამომცემლობა „ნაკადულშიც“.

წიგნის მხატვრობაში ჯემალ ლოლუამ ახალი და თავისებური ხელწერა შემოიტანა. მის სურათებს სხვათაგან იოლად გამოარჩევ. და დღეს ალბათ ჩვენში არც არსებობს გამომცემლობა ან რედაქცია, სადაც იგი ნებისმიერი რედაქტორისა და ავტორისათვის სასურველ მხატვრად არ მიაჩნდეთ.

ძია ჯემალი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მხატვარია საქართველოში. ძნელია შეეხო მის მხატვრობას და გზა არ დაგებნეს იმ მშვენიერფეროვან ლაბირინთში, რომელიც მისი ნიჭიერი ფანტაზიითა და ხელით შექმნილა — იგი კი უკვე ათასობით ნაწარმოების ავტორია. მათ შორის გახლავთ ძუნწი, ზუსტი შტრიხებით შესრულებული ის ნახატებიც, უპირველეს ყოვლისა, რომლებითაც გვიყვარს ჩვენ ბატონი ჯემალის ცოცხალი და ლამაზი შემოქმედება. მისი მრავალფეროვანი ნამუშევრები უამრავ საინტერესო ავტორს მოიცავს, ჯემალ ლოლუას ყველა მათგანი ღირსეულად ჰყავს წარმოჩენილი. მის მიერ ჩინებულად ილუსტრირებული ნაწარმოებებიდან არაერთი შეიძლება დავასახელოთ: იოსებ გრიშაშვილის „მუსტაფას ვირი“ და „ბაბაჯანას ქოშები“, შექსპირის ტრაგედიები, ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“ და მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“... მათი რიცხვი ასობითაა.

ძალიან ბევრგან ყოფილა გამოფენილი ძია ჯემალის ილუსტრაციები — საზღვარგარეთაც და ჩვენს ქვეყანაშიც, მის მიერ დასურათხატებული უამრავი წიგნი და პლაკატი დასტამბულა. სულ მალე მიიღებთ მის ერთ-ერთ შესანიშნავ ნამუშევარსაც, ეს გახლავთ „ნაკადულში“ გამოცემული რევაზ ინანიშვილის მოთხრობათა კრებული, რომელიც მხატვარმა ძალზე საინტერესოდ დაასურათა. ეს წიგნი უთუოდ გაახარებს ამ ორი ჩინებული ქართველი ხელოვანის შემოქმედების თაყვანისმცემელთ.

ყოველი მხატვარი სახატავი ტილოს ან ქაღალდის პირისპირ ჭეშმარიტი სარდალია... იგი, ამავე დროს, რეჟისორიცაა და მსახიობიც, უშუ-



ჰ. ქ. ანდერსენი. „ზღაპრები“.
გარეკანი





მარკ ტვენი. „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“

ალო მონაწილეა იმ ამბებისა, რაც მის სურათზე „მოხდება“, იგი ცხოვრობს იმ სამყაროში, რომელსაც თავადვე ქმნის. ასეთია ჭეშმარიტი მხატვრის ბუნება და სწორედ ასეთი მხატვარი გახლავთ ჯემალ ლოლუაც.

სხვენზე, სადაც ის მუშაობს, მუდამ სიწყნარეა. ამ სიწყნარეს ფურცლის შრიალი ან ფანქრის გასმის ხმა თუ დაარღვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხატვარი სისხლსავსედ ცხოვრობს — იგი ხატავს, ფიქრობს, ქმნის ცინცხალ ილუსტრაციებს ახალი წიგნებისთვის. მამის შორიახლოს ხატავენ ხოლმე თამრიკო და გიორგიც — ბაძავენ, გულმოდგინეობაში ეჯიბრებიან.

ძია ჯემალი კი მუშაობს.

იბადება ახალი, ლამაზი წიგნები — ძმები გრიმების ზღაპრების ორტომეული. თქვენ ალბათ სიხარულით გადაშლით მათ მომავალში.

ვტოვებ სტუმართმოყვარე მხატვრის სახელოსნოს და ვფიქრობ, თუ რა მწირი იქნებოდა ჩვენი ყოფა ხელოვნების გარეშე, თუ რა სასწაულებრივად ალამაზებს, შნოსა და ლაზათს მატებს ხელოვნება ჩვენს სიცოცხლეს.



შექსპირი. „შეცდომათა კომედია“

**ს ი მ ო ნ   შ ა მ ფ რ ი ა ნ ი**

## გამრავლდით და იხარეთ!

ქვემო ქართლში ჩამოსახლებულ სვან ყმაწვილებს

აქ არც ჩანჩქერებია,
არც ორბების ყაშყაში,
არც ნიავი უშბისა,
არც თეთნულდის კაშკაში,

მაინც მშობლიურია
ეს მიდამო-ველები,
თქვენი საპატრონოა,
თქვენი მოსაფერები;

ესეც ღვთითკურთხეული
ივერიის მიწაა,
ოდითვე რომ ქართველმა
თავის ხატად იწამა.

მას სჭირდება თქვენი მხნე
გარჯა მამაპაპური, —
ზე წამოდგეს, გალაღდეს
სათაყვანო მამული.

აღეზრდებით, მჯერა მე,
ამ მხარეს კლდე-გალავნად, —
ჩვენი თვალ-მარგალიტი
არ მოხვეტოს არამმა.

დაე, ჰქუხდეს ქართლშიაც
„ლილე“ ომახიანი,
ლულუნებდეს ჭუნირი,
წმინდალარებიანი;

მრავლდებოდეთ, ხარობდეთ
ახალი გზით მავალნი,
გულმართალი, ამაყი
ხალხის შთამომავალნი!

## როგორ მიყვარდა...

როგორ მიყვარდა
რუსთაველის პროსპექტზე გავლა:
ვწყდებოდი მიწას,
ავდიოდი მაღლა, სულ მაღლა;
რაღაც სხვაგვარი
იღვრებოდა ნათელი ციდან
ზამთარ თუ ზაფხულ,
მზე იყო ან
თოვდა თუ წვიმდა.
იყო ძვირფასი ყოველი ხე,
ბუჩქი, ყვავილი...
ყველა ლამაზი
მეგონა აქ ავლილ-ჩავლილი.
მაგრამ დამეცა
წელს აპრილის
რიჟრაჟი ბნელი...
პროსპექტზე სისხლი —
უწმინდესი...
ქართული...
ცხელი...
როგორ მიყვარდა
(აქამომდე)
რუსთველზე გავლა!..

## ყველაფერია ჩემთვის

მთელი ცხოვრება დედის,
მთელი ცხოვრება მამის
იყო და არის ჩემთვის
შუქი წყვდიადში ღამის.

მთელი ცხოვრება ძმების —
უსამართლობის მტერთა —
ბევრი ვაების მძლევი,
გულში ძარღვივით ფეთქავს.

მთელი ცხოვრება დების —
ანგელოსური, სუფთა —
ნაზი, ციური ხმებით
მე მიადვილებს სუნთქვას.

მთელი ცხოვრება ერის,
დასაბამიდან დღემდის,
თავისი ყველა ფერით
ყველაფერია ჩემთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

ქართველმა ხალხმა თავისი ისტორის მანძილზე განუმეორებელი და უმდიდრესი კულტურა შექმნა. ამ კულტურის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილია ძველი ქართული წერილობითი ძეგლები.

ჩვენ გადავწყვიტეთ, გიამბოთ ქართველი ხალხის უძვირფასესი საუნჯის — უძველესი ხელნაწერების, წარწერების და სხვა წერილობითი ძეგლების შესახებ. ვეცდებით, გავაშუქოთ მათი ისტორია, მოგითხრობთ მათი შექმნის, აღმოჩენისა და შესწავლის შესახებ. ბევრ ძველ ქართულ წიგნს საინტერესო თავგადასავალი მოეპოვება. ამის შესახებაც ვისაუბრებთ.

ცხადია, უნდა შევეხოთ ქართული ანბანის ისტორიასაც. გადავწყვიტეთ, პირველი შეხვედრისას ზოგადად გვესაუბრა დამწერლობის ისტორიის შესახებ. მოხარული ვიქნებით, თუ გვეცოდინება თქვენი აზრი, რა გაინტერესებთ, რა არ გაკმაყოფილებთ. ვეცდებით, თქვენი სურვილები გავითვალისწინოთ.

●

ჩემო ძვირფასო უმცროსო მეგობრებო! ყოველი თქვენგანისათვის წიგნი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სწორედ წიგნებს ვუმადლით იმას, რომ ისინი გვაზიარებენ იმ დაუშრეტელ სიბრძნეს, იმ სილამაზეს, რაც კაცობრიობას თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე შეუქმნია. წიგნის ჯადოსნურ ძალას შეუძლია, ჩაადენინოს ადამიანს სასწაული: ამოგზაუროს შორეულ წარსულსა და მომავალში, გააცნოს როგორც მშობლიური, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ზნე-ჩვეულებანი, მათი ცხოვრების წესი.

წიგნია ის წყარო, რომელიც ქვეყნის, ერის ცხოვრების შესახებ გვიამბობს. მრავალი საუკუნის წინათ შექმნილი წიგნების მეოხებით იგებს ქართველი კაცი ფარნავაზის, მირიანის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალისა და ჩვენი ერის სხვა თავდადებული შვილების ღვაწლს. სწორედ ძველმა წიგნებმა მოიტანეს ჩვენამდე ნინოს, შუშანიკის, გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე მთაწმინდლის, შოთა რუსთაველისა და სხვა მრავალი მირონცხებული მოღვაწის საქმენი, უკვდავყვეს მათი ნათელი სახეები. ერთი სიტყვით, წიგნი არის ხალხის, ქვეყნის ცხოვრების უტყუარი მოწმე.

დღეს ყოველ თქვენგანს მრავალი




გადასვლა ხატოვანი დამწერლობიდან ლურსმნულზე: 1. უძველესი ხატოვანი დამწერლობა; 2. იგივე, მოგვიანებით. 3. უძველესი ლურსმნული; 4. გვიანდელი ლურსმნული.

წიგნი აქვს, ზოგი ძალიან გიყვართ, ყოველდღიურად კითხულობთ, თქვენი მუდმივი თანამგზავრი და ერთგული მრჩეველია, ზოგიერთის მიმართ, რა დასამალია და, ალბათ, გულგრილი ხართ. ახლა კითხვა, წერა ჩვენში ყველამ იცის და ეს ბუნებრივ ჩვევებად იქცა. ამიტომაც დღევანდელი ადამიანისათვის ძნელად წარმოსადგენია, რომ იყო დრო, როცა დამწერლობა არ არსებობდა, არ იყო წიგნი, არ იცოდნენ წერა და კითხვა.

დამწერლობა არის გრაფიკული ნიშნების (ასოების) ან ნახატების (გამოხატულების) მეშვეობით სამეტყველო ინფორმაციის გადაცემის საშუალება. დამწერლობა მთელი საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი უდიდესი და უპირველესი მონაპოვარია. ბუნებრივია, რომ დმწერლობა შეიქმნა მხოლოდ ცივილიზაციის განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე.

რა თქმა უნდა, დამწერლობის შექმნამდეც ადამიანთა საზოგადოებას ჰქონდა მოთხოვნილება, დროსა და მანძილზე გადაეცა ინფორმაცია. მაგალითად, პირველყოფილი თემის მეთაურს უნდა სცოდნოდა, რამდენი ადამიანია თემში, რამდენი მეომრის გამოყვანა შეუძლია თემს, რამდენი საქონელი ჰყავს, რამდენი მონადირე რამდენ ნადირს მოკლავს, რომ თემმა თავი გამოიკვებოს და ა. შ. საჭირო იყო, აგრეთვე, მეზობელ ან უცხო ტომებთან ურთიერთობა.

მაგალითად, მთელ რიგ ხალხებს ჰქონდათ (და დღესაც აქვთ) ე. წ. სათვლელი ჯოხები საქონლის რაოდენობის აღსარიცხავად. ამ ჯოხებზე არის იმდენი ამონაკვეთი, რამდენი სული საქონელიც ჰყავს ჩაბარებული მწყემსს მოსავლელად. ინდიელთა ზოგი ტომი ინფორმაციის გადასაცემად იყენებდა ნიჟარებს, რომლებშიაც თასმებს უყრიდნენ, თეთრი ნიჟარების გაგზავნა სხვა ტომთან ზავს მოასწავებდა, ხოლო იისფერისა — ომს.

ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ცხოვრობდა ძვ. წ. V საუკუნეში) მოგვითხრობს მეტად საინტერესო ამბავს: სკვითთა მეფეებს სპარსეთის მეფე დარიოსისთვის გაუგზავნიათ ძღვენი — ჩიტი, თაგვი, ბაყაყი და ხუთი ისარი. სპარსელები მეტად ჩააფიქრა ამ უცნაურმა საჩუქრებმა და შიკრიკისთვის უკითხავთ, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. თუ სპარსელები საკმაოდ გონიერნი არიან, — უთქვამს შიკრიკს, — მათ თვითონვე უნდა გაარკვიონ, რასაც ნიშნავს სკვითთა საჩუქრებიო. დარიოსმა ივარაუდა, რომ სკვითები

ნებდებიან სპარსელებს და უცხადებენ მორჩილებას, აძლევენ მას მიწას (თაგვი მიწაში ცხოვრობს), წყალს (ბაყაყი წყალში ცხოვრობს), ცხენებს (ჩიტი სისწრაფით ჰგავს ცხენს), ხოლო ისრები იმას ნიშნავს, რომ სკვითები უარს ამბობენ წინა-




სპარსეთის მეფე ქსერქსეს სახელის გამოხატულება ეგვიპტური იეროგლიფით. ქვემოთ — იგივე იეროგლიფი გაშლილ სტრიქონად.

ალმდეგობის გაწევაზე. მაგრამ მეფის ერთ-ერთმა მრჩეველმა ასე ახსნა სკვითების საჩუქრები: „თუ თქვენ, სპარსელები, არ გაფრინდებით ცაში, როგორც ჩიტები, როგორც თაგვები არ ჩაძვრებით მიწაში ან როგორც ბაყაყები არ ისტუნებთ ჭაობებში, ვერ დაბრუნდებით უკან, ამოიხოცებით ამ ისრებით“.

ამგვარ სისტემას „საგნობრივ დამწერლობას“ უწოდებენ. ცხადია, რომ მას ნამდვილ დამწერლობასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს გარდა იმისა, რომ გარკვეული ამბის (ინფორმაციის) გადაცემა შეუძლია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „საგნობრივი დამწერლობის“ ელემენტები დღემდე გვაქვს შემორჩენილი. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. საგზაო ნიშნები.

ადამიანს წერა თავიდანვე არ დაუწყია. წერის პროცესი გულისხმობს საგნებზე გარკვეული ნიშნების გაკეთებას. ადამიანი ხელით წერს. ნიშნები გამოიყვანება ხელის მოძრაობით. ნიშნები შეიძლება დაიწეროს, დაიხატოს (ხელით ან ფუნჯით,, ამოიკაწროს ან ამოიჭრას. სხვათა შორის, წ ე რ ა სიტყვას თავდაპირველად ჰქონდა ჭ რ ი ს, კ ა წ ვ რ ი ს, ჩ ხ ვ ლ ე ტ ი ს მნიშვნელობანი. ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულია წ ე რ ტ ა სიტყვა, რომელიც ჩ ხ ვ ლ ე ტ ა ს ნიშნავდა. ამ სიტყვის წ ე რ ტ ფუძისაგან არის ნაწარმოები წ ე რ ტ ი ლ ი, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ნაჩხვლეტი“. ყველამ კარგად იცის, რას აღნიშნავს დღეს სიტყვა მ წ ე რ ი, მაგრამ შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს, რომ იგი წარმოქნილია წ ე რ ძირისაგან და, სპეციალისტების ფიქრით, თავდაპირველად „მჩხვლეტელს“ ნიშნავდა. ამდენად, წ ე რ ა დიდი ხნის წინათ „ჩ ხ ვ ლ ე ტ ა“-ს გამოხატავდა. შემდგომში მას დაუკავშირდა წ ე რ-ს (писать) მნიშვნელობა, რადგანაც საწერ მასალად ადრე გამოიყენებოდა ქვა, რომელზედაც ჩ ხ ვ ლ ე ტ ი თ წ ე რ დ ნ ე ნ. სხვათა შორის, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წ ე რ ა გარკვეულ შემთხვევებში ხ ა ტ ვ ა ს ა ც ნიშნავს. ასეა მრავალ სხვა ენაშიც. მაგალითად, ბერძნული სიტყვა გ რ ა ფ ე ი ნ ნიშნავდა როგორც წ ე რ ა ს, ისე ა მ ო კ ვ ე თ ა ს (და სწორედ ეს მნიშვნელობაა თავდაპირველი). ლათინური ს კ რ ი ბ ე რ ე ადრე ამოჭრას ნიშნავდა, შემდგომ მან წ ე რ ი ს მნიშვნელობა მიიღო. სლავური п и с а т и „წერა“ ძველად ნიშნავდა ხ ა ტ ვ ა ს და სხვ.

ეს მიუთითებს, რომ წერასა და ხატვას შორის თავიდანვე მჭიდრო კავშირი არსებობდა. თავდაპირველი სწორედ ნახატია, რომელიც სავსებით საკმარისი იყო პირველყოფილი ადამიანისათვის ინფორმაციის გადასაცემად და მისაღებად. ჩვენამდე მოღწეულია პირველყოფილ ადამიანთა მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კლდეებსა და გამოქვაბულთა კედლებზე შესრულებული ნახატები. მათ პეტროგრამებს (ბერძ. პ ე ტ რ ო ს „ქვა; კლდე“, გ რ ა მ მ ა „დაწერილი“) და პეტროგლიფებს (ბერძ. პ ე ტ რ ო ს „ქვა; კლდე“, გ ლ ი ფ ე ი ნ „ამოკვეთილი“) უწოდებენ.



ურარტული ლურსმნული წარწერა

დამწერლობის ერთ-ერთ წინასაფეხურად უნდა მივიჩნიოთ ის სახეობა, რომელსაც ახლა ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ს ან გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ო ბ ი თ ს უწოდებენ. მას დღესაც არაერთი ხალხი იყენებს, მაგალითად, ინდიელები.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ან გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ო ბ ი თ ი დამწერლობის განვითარების მაღალ საფეხურს წარმოადგენს ძველი ეგვიპტური დამწერლობა, რომელიც შეიქმნა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში (ანუ დაახლოებით 5000 წლის წინათ). ეგვიპტელები 500-ზე მეტ ნიშანს იყენებდნენ. რა თქმა უნდა, ეს ნიშნები, რომლებიც თავდაპირველი ნახატებიდან მომდინარეობენ, გამოხატავდნენ გარკვეულ ცნებებსაც. კარგად არის ცნობილი, რომ ეგვიპტური დამწერლობის ნიშნებს ი ე რ ო გ ლ ი ფ ე ბ ს უწოდებენ. ეს სახელწოდება მათ ბერძნებმა შეარქვეს, რომლებიც გაოცებული იყვნენ ეგვიპტელთა ხელოვნებით (იეროგლიფი „წმინდა ნიშანს“ ნიშნავს). დროთა განმავლობაში სწრაფი წერის გამო იეროგლიფები თანდათან დაშორდნენ თავიანთ თავდაპირველ სახეობებს და იშვიათად შემორჩა ისეთი ნიშნები, რომლებიც ძველ სახეს ინარჩუნებენ. თუ თავდაპირველად ნახატი გამოხატავდა მთელ წინადადებას, შემდგომში იგი გამოხატავს სიტყვას, მოგვიანებით — მარცვალს, ბოლოს კი — ბგერასაც.

ძველეგვიპტურ დამწერლობაში (ისე, როგორც სხვა ძველ, აგრეთვე ზოგ თანამედროვე დამწერლობაში) ხმარობდნენ ე. წ. დეტერმინატივებს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ სიტყვათა გარკვეული ჯგუფი მიეკუთვნება ამა თუ იმ კლასს (მაგ., ქალაქების, სოფელთა, მეფეთა აღმნიშვნელებს და სხვ.).

ფიქრობენ, რომ ეგვიპტურ დამწერლობაზე უფრო ადრინდელია ლურსმნული (ან სოლისებრი) დამწერლობა, რომელიც შეიქმნა სამხრეთ შუამდინარეთში (მდინარეებს ევფრატსა და ტიგროსს შორის). შუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდინარეთში საწერ მასალად იყენებდნენ თიხის ფირფიტებს (გარკვეულ შემთხვევებში წერდნენ ქვაზედაც). ჯერ კიდევ რბილ თიხის ფირფიტაზე ნიშნები გამოჰყავდათ ხის ჯოხით (ჩხირით), შემდეგ ფირფიტებს გამოწვავდნენ ან აშრობდნენ. ლურსმნული დამწერლობა მეტად ფართოდ გავრცელდა მთელ ძველ წინა აზიაში, თუმცა ადვილად წარმოსადგენია, რომ თიხის ფირფიტებზე დაწერილი დიდი წიგნის გამოყენება არაერთ სიძნელესთან იყო დაკავშირებული.

უძველეს ლურსმნულ ნიშნებს ნახატების ფორმა ჰქონდათ (ისე, როგორც ძველეგვიპტური დამწერლობისას). შემდგომში ეს ნიშნები გამოხატავდნენ სიტყვებს, გარკვეული ხნის შემდეგ ნიშნებმა შეიძინეს მარცვლის გამოხატვის ფუნქცია. ლურსმნულ დამწერლობაში გვხვდებოდა დეტერმინატივები.

უძველესი ლურსმნული დამწერლობა შექმნეს შუმერებმა, ძველ შუამდინარეთში მცხოვრებმა ხალხმა III ათასწლეულის შუა საუკუნეებში ეს დამწერლობა აქადებს (ბაბილონელებს) აქვთ შეთვისებული (ამ დროისათვის შუმერული უკვე მკვდარი ენაა). შუმერები დამწერლობას იყენებდნენ ადმინისტრაციული აპარატისა და სამეურნეო საქმეების საჭიროებისათვის, აღრიცხავდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, ქალაქებში დამზადებულ იარაღებს და სხვ. (ლურსმნულ დამწერლობას იყენებდნენ ელამები (ცხოვრობდნენ თანამედროვე ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში), ხურიტები (ცხოვრობდნენ შუამდინარეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში), ხეთები (სახლობდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში), ურარტუელები (მოსახლეობდნენ ახლანდელ სომხეთის მთიანეთში).

მიუხედავად იმისა, რომ ლურსმნული დამწერლობა დიდი ხნის მანძილზე იყო გავრცელებული საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, იგი გარკვეული აზრით მოუხერხებელი იყო: შეიცავდა სიტყვის გამომხატველ სიმბოლოებს, მარცვალთა გადმომცემ ნიშნებს, დეტერმინატივებს.

დამწერლობის განვითარების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სემიტური ასოებრივი დამწერლობის შექმნას. სემიტებმა შექმნეს ნიშნები ცალკეული თანხმოვანი ბგერებისათვის. ეს დამწერლობა



ხ ე თ უ რ ი
იეროგლიფური წარწერა

გაცილებით ადვილი იყო გამოსაყენებლად, ვიდრე ლურსმნული, რომელიც რამდენიმე ასეულ ნიშანსა და მათ კომბინაციებს აერთიანებდა.

ყველაზე ადრინდელი სემიტური დამწერლობის ნიმუშად ითვლება ფინიკიური წარწერა მეფის ბიბლა ახირამის სარკოფაგზე (იგი თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. 1000 წლით, ანუ თითქმის სამი ათასი წლის წინ არის შესრულებული). ფიქრობენ, რომ სემიტური დამწერლობა რამდენიმე საუკუნით უფრო ადრინდელია, ვიდრე ეს წარწერა.

დღეისათვის არ არის გარკვეული, რა უდევს საფუძვლად ადრინდელ სემიტურ დამწერლობას. სემიტურ თანხმოვნურ დამწერლობას ფინიკიელთა გარდა იყენებდნენ ძველი ებრაელები, უგარითები და სხვა სემიტური ტომები.

ის, რომ ადრინდელ სემიტურ დამწერლობებში მხოლოდ თანხმოვნებისათვის არსებობდა ნიშნები, გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა ტექსტის ჩაწერისა და, განსაკუთრებით, მისი სწორად გაგებისათვის. ამიტომაც სემიტურ ანბანში თანდათანობით ჩნდება ხმოვანთა გამომხატველი ნიშნები.

სემიტური დამწერლობა რომ დაედო საფუძვლად ბერძნულს, ამის შესახებ მიუთითებდნენ ჰეროდოტე, აგრეთვე რომაელი ისტორიკოსი პლინიუსი (ახ. წ. I საუკუნე) დ სხვ. ბერძნული ასოების რიგი სემიტურისას მიჰყვება, ასოთა მოხაზულობა სემიტური პირველსახისაგან მომდინარეობის აშკარა კვალს ატარებს. ძალზე ახლოსაა, აგრეთვე, სემიტურ და ბერძნულ ასოთა სახელწოდებანი. მაგ., ბერძნული ა ლ ფ ა: სემიტური ა ლ ე ფ (ა ლ ე ფ სემიტურში ხ ა რ ს ნიშნავს): ბერძნული ბ ე ტ ა: სემიტური ბ ე თ (ბ ე თ სემიტურში ს ა ხ ლ ი ა); ბერძნული გ ა მ მ ა: სემიტური გ ი მ ე ლ (გიმელ სემიტურად —აქლემი) და სხვ.

ბერძნებმა აიღეს სემიტური ანბანი (საფიქრებელია, ფინიკიელთაგან) და მოახდინეს მეტად მნიშვნელოვანი რეფორმა: როგორც უკვე ვთქვით, ძველ სემიტურ ანბანს სპეციალური ნიშნები ჰქონდა მხოლოდ თანხმოვნებისათვის (ხმოვნები არათანმიმდევრულად გამოიხატებოდა); ბერძნებმა სპეციალური ნიშნებით გამოხატეს ხმოვნებიც. ამით დასრულდა ანბანური დამწერლობის შექმნა. ბერძნულ დამწერლობაში სისტემატურად აღინიშნება როგორც თანხმოვნები, ისე ხმოვნები. ბერძნული და ფინიკიური ფონეტიკური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან დიდად სხვაობს. ფინიკიურს, რომელიც საფუძვლად დაედო ბერძნულ ანბანს, მოეპოვება ზოგი ისეთი ნიშანი, რომელთა შესატყვისი თანხმოვნები ბერძნულს არ აქვს. ბერძნებმა ასეთი ნიშნები გამოიყენეს ხმოვნების გამოსახატავად. ამდენად, ფინიკიურის იმ ასოებს, რომლებიც ბერძნულისათვის „ზედმეტი" აღმოჩნდა, მათ სპეციფიკური ფუნქცია დააკისრეს. მაგალითად, ა ლ ე ფ, რომელიც ფი-

დასასრული იხ. 22-ე გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №8

19.390

## მუდამ ერთად ვიქნებით

მეგობრობა ჩემთვის იმდენად საჭირო გრძნობაა, რომ ვერც კი ვიგებ, როცა მას ზოგიერთი აგდებით იხსენიებს, რაღაც ანგარიშებით ზომავს. ბევრჯერ გაიგონებ, ეს იმას იმიტომ დაუმეგობრდა, რომ მისი ფულიანობა ხიბლავს ან თანამდებობის პირის შვილობაო. ამგვარ თავისმოტყუებას მე მეგობრობას ვერ დავუძახებდი...

კარგია, როცა მეგობარი ბავშვობიდან მოგყვება. ასეთთან უფრო მეტი გაკავშირებს, ერთმანეთის ნათქვამსა და ნაფიქრს უკეთ ხვდებით, იცით, რომ ნებისმიერ სიტუაციაში გაუგებთ და გაჰყვებით ერთმანეთს.

მე მყავს ერთი ასეთი მეგობარი — ნატო ღიბრაძე. მას მთელი ჩემი ოჯახი თავისი წევრივით უყურებს, მე ხომ საკუთარ დაში არ გამომერჩევა. უკვე კარგა ხანია ვმეგობრობთ, ერთმანეთი ბევრ „გასაჭირში“ გამოგვიცდია. რა თქმა უნდა, პატარ-პატარა რაღაცები შეგვეშლება ხოლმე, მაგრამ მთავარი — არასდროს. მე ეს ძალიან მახარებს. მახარებს ისიც, რომ ჩვენ არასდროს დავივიწყებთ ერთმანეთს, რომ მთელი ცხოვრება ვიმეგობრებთ და ერთად ვიქნებით.

ნათია მჟედლიძე,
ზესტაფონი, პირველი სვირის საშუალო სკოლა, X კლასი.

## სვანეთში უნდა წახვიდეთ...

მე მინდა ჩემი მშობლიური სვანეთისა და სოფლის შესახებ მოგითხროთ... ჩემი სოფელია უშგული — ულამაზესი სვანური სოფელი. მის გვერდით ენგური მოჰქუხს, მორბის, მოღრიალებს, უზარმაზარ ლოდებს მოათამაშებს. ენგურის წყალი, ისევე, როგორც ყველა მთის მდინარისა, ყინულივით ცივია, მის ნაპირებზე მოდებულ ლორთქო ბალახში აქა-იქ მთის იაცაა გამორეული და ამიტომ აქ ყველაფერი იის სურნელებით არის გაჟღენთილი...

უშგულს ირგვლივ უზარმაზარი მთები აკრავს. მათ კალთებზე ღონიერი ნაძვები ხარობენ, სულ მაღლა, მაღლა, ცისკენ აიწვდებიან, თითქოს მზესთან საუბარი მოსწყურებიათო...

ხომ დიდებულია სვანეთი, დიდებულია მისი ლეგენდებიც, ისტორიაც. ჩემს სოფელში უშგულის ოდინდელი „ვითომ ბატონის“ — ფუთა დადეშქელიანის ადგილსამყოფელი დღემდეა შემორჩენილი. უშგულს, და საერთოდ სვანეთს ხომ არასოდეს ჰყოლია ბატონი, ფუთა კი მთელს სოფელს ჩაგრავდა, ამიტომ იგი ყველას ერთად მოუკლავს, ოღონდ მხოლოდ ერთ კაცს რომ არ დაბრალებოდა მისი სიკვდილი, თოფის ჩახმახზე გამობმული თოკი ყველა სვანს ერთად გამოუწევია. ჩემი სვანეთი ლამაზი სიმღერებისა და ლეგენდების საუფლოა. აქ დასტიროდა მირანგულას მისი ქვრივოხერი დედა, ნადირობის ქალღმერთ დალისა და მონადირე ბეთქილის სიყვარულის ამბებით აქ დღემდე სულს იპურებენ. სვანეთი ზღაპარივითაა. ალბათ ამიტომ მოუწოდებდა დიდი ილია ჭავჭავაძეც თავის თანამედროვეთ, თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვართ, სვანეთში უნდა წახვიდეთო...

ხათუნა ნიჟარაძე,
რუსთავი, მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი.

### ბებოს ეზო

რა კარგია ბებოს ეზო,
რომ დახატა გუშინ რეზომ.
როგორ მიყვარს გიგა, მაკა,
ციცქნა ეკა ხმარაკრაკა.
დღეს ფეხმარდი გავაზო
თვალხუჭობას გვთავაზობს.
ჩვენც დავრბივართ ჟრიამულით,
ამოგვვარდეს ლამის გული.
ბებო ყვირის, გაჩერდითო,
არაფერი იტკინოთო,
თითო-თითოს დაგვდევს ხვნეშით,
ყასიდად აქვს ჯოხი ხელში.

მიხეილ ცხომარია,
თბილისი, 57-ე სკოლა, 1-ელი კლასი.

## მე და ჩემი ბებია

სულ პატარა ვიყავი, დედა რომ მომიკვდა. მამაც ავადმყოფი მყავს, ისე რომ, ბებიას იმედად ვარ დარჩენილი. ბებია ზრუნვასა და სითბოს არ მაკლებს.

ოთხი წლის ვიყავი, ხატვა რომ დავიწყე. ბებიამ მიყიდა სახატავი ალბომი, საღებავები, ფუნჯები, რვეული, ავტოკალამი და მოძრავი ანბანი. ოთხი წლის ასაკში ჩემს სახელსა და გვარს თავისუფლად ვწერდი, წიგნსაც თავისუფლად ვკითხულობდი. ბებია სულ თავზე მედგა, მაგრამ როცა ჩემს მოსახედად დრო არ რჩებოდა, დამიბარებდა, შენ თვითონ მიუჯექი შენს მაგიდასო.

ძალიან მიყვარს ჩემი ბებია, ვცდილობ, არ გავაჯავრო, დიდი რომ გავიზრდები, არც მაშინ დავუკარგავ ამაგს.

ერთხელ მე და ბებიას ფეხით მოგვიხდა ხუთი კილომეტრის გავლა, ავტობუსი არ იყო და იმიტომ. ბებია, რა თქმა უნდა, დაიღალა ამხელა გზაზე. რამდენიმე მსუბუქმა მანქანამ ჩაგვიარა, მაგრამ არც ერთი არ გაჩერებულა. ცოტა ხანს დუმილით მივყვებოდით გზას. სიჩუმე ისევ მე დავარღვიე. ბებიას ვუთხარი, დიდი ბიჭი რომ გავიზრდები, აუცილებლად მანქანასაც ვიყიდი და გზაში მიმავალ შენისთანა მოხუცებს აუცილებლად გავუ[illegible]ერებ მანქანას და ყველას თავის ადგილზე მივიყვან-მეთქი. ბებიას ცრემლები [illegible]ერია, თავზე ხელი გადამისვა და [illegible]ამიხუტა.

პაატა ბელენავა,
ხობი, ალიონის 8-წლიანი სკოლა, III კლასი.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დიდო ვადაჭკორია
მხატვარი
თემურ ფხიკიძე

# [illegible]

როგორც კი თავისუფალ დროს ვიპოვნი, ჩემს სანუკვარ ბავშვობაში გავრბივარ. ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მშვენიერი დროა ადამიანის ცხოვრებაში ბავშვობა. აქ არიან ყველანი — დედ-მამა, და-ძმა, დიდედა და ბაბუა, ნათესავები, მეზობლები და მეგობრები... თითქოს ისევ გიპრის მუხლი, დააბიჯებ ყოჩაღად შენი საყვარელი საქართველოს მიწა-წყალზე და ოცნებაში უვლი სამშობლოს ლურჯ მთებს, ცისფერ, კამკამა მდინარეებს. მინდვრის ყვავილებში ყელამდე იმალები, ყაყაჩოებისა და კესანეების გვირგვინებს იდგამ თავზე... შეჰხარი ცას, მზესა და მთვარეს, ჟუჟუნა წვიმაში იწუწები და გიყვარს ისე, როგორც არავის...

ვისაც ჩემი წიგნი „ვარსკვლავები საჩუქრად“ წაუკითხავს, ჩათვალოს, რომ იცნობს ამ ახალი მოთხრობების გმირებსაც. გაუთავებლად მინდა ვწერო ჩემს ბავშვობასა და ახლობლებზე, ისეთი ნაწარმოებები დაგიწეროთ, სადაც დაუსრულებლად იქნება ფიქრი ადამიანის სულსა და სიკეთეზე.

ავტორი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

შიო ჩიტაძის ქუჩის კუთხეში, მთაწმინდის ძირას, ერთი ხე იდგა. მე ამოვიჩემე თუ თვითონ მხვდებოდა თვალში, არ ვიცი. წვრილ, მოხდენილ ფეხზე იდგა, თაიგულივით გადაშლილი. არასოდეს აყვავებულა და რა ხე იყო, არც ვიცოდი. თითქოს ცაცხვი არ იყო, არც მუხა და არც ჭერამი; გაზაფხულზე პატარა, კრიალა ფოთლები ბატკნებივით შეესეოდნენ და ნაწვიმარზე მარგალიტის ყურსაბამებს იკიდებდნენ.

იმ წელსაც, რომ გაზაფხულდა, ისევ ჩემი ხე მომაგონდა — თუ აყვავდება, ნეტავი რა ფერისა იქნება მისი ყვავილები-მეთქი. ჩემს ოცნებაში კი ჭრელი იყო ხე...

ხის ზმანება ხმაურმა დამიფრთხო — თურმე საათი ზრიალებდა, დასარეკად ემზადებოდა. გავიქეცი. სულ თხუთმეტი წუთი იყო დარჩენილი გაკვეთილების დაწყებამდე. „თუ არავინ შემხვდა, მოვასწრებ“... — გავიფიქრე. ამასობაში მივუახლოვდი „ჩემს ადგილს“. თვალს არ დავუჯერე... ჩემი ხე ისეთი იდგა, მოჩვენებას ჰგავდა:

თითქოს თეთრი კაბა ეცვა, კალთები ცოტა მაღლა აეწია კეკლუცად, ფეხის წვერებზე შემდგარიყო და ოდნავ ჩემკენ გადმოხრილი დიდრონი მხიარული თვალებით გადმოსცქეროდა, თითქოს მეუბნებოდა, შემომხედე, მოგწონვარ? აკი გინდოდა, ერთ მშვენიერ დღესაც ასე მორთულ-მოკაზმული დაგხვედროდიო...

შევჩერდი და შევაცქერდი. თითქოს ჩვენს შორის ქუჩა კი არ იყო, მდინარე მოჩხრიალებდა. ხე კი ჩემკენ გადმოსასვლელად ფონს ეძებდა, ფეხი რომ არ დასველებოდა. „აა, ჩემს კაბასაც ხომ ნუშის ყვავილები აყრია! ხომ არ გგონია, სარკეში იცქირები?!“ — გავიფიქრე.



„ვისი კაბა უფრო ლამაზია?“ — თითქოს ჩურჩული ჩამესმა.

„შენი, — ვუთხარი გულში. — რამ გაგაგიჟა ამ გაზაფხულზე! რატომ იფეთქე და მოირთე თეთრად? მაინცადამაინც ამ გაზაფხულზე? შენც გიყვარს ვინმე?! ან აქამდე სად იყავი? თურმე რა ლამაზი ყოფილხარ! თურმე როგორი სული გქონია და მალავდი... ჩემს სიყვარულს ელოდებოდი?“

სკოლის კარი ისევ ნუშის ხეზე ფიქრით შევაღე. დერეფანში უსიამოვნო სიჩუმე იდგა. საკლასო ოთახებიდან მასწავლებლების ხმები ისმოდა. ფრთხილად მივედი დერეფნის ბოლომდე და ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი. დერეფანს მეორე ფანჯარა ბოლოში ჰქონდა, მაგრამ ის უკვე მეორე სართულისად ითვლებოდა. ფანჯარა კი, რომლის რაფაზე მე მოვიკალათე, ჩვეულებრივზე უფრო დაბალი პირველი სართულისა იყო და მასთან მდგომი ადამიანის მხოლოდ სილუეტი ჩანდა ხოლმე. „რა კარგია, ნიურა დამლაგებელი რომ არ დამხვდა აქ წამოსკუპებული?! მას ხომ აქ უყვარს ჯდომა-მეთქი“ — გავიფიქრე.

უცებ ფეხის ხმა გავიგონე. სამასწავლებლოსა და დირექტორის კაბინეტის მხრიდან ვიღაც მოდიოდა ძალიან ფრთხილი ნაბიჯით. დირექტორი იყო. დერეფანში გაჩერდა, გაიხედ-გამოიხედა და ჩუმად გამოძახა:

— რომელი ხარ მანდ!

— ჩტო?! — იმგვარად გავეპასუხე, ვითომ ნიურა დამლაგებელი ვიყავი.

დირექტორი შეყოვნდა და მერე სწრაფად გაბრუნდა.

ქუჩაში გავედი. ცოტა ქვემოთ, რუსთაველზე ავტობუსები დასრიალებდნენ.

— ნიურა, ხომ?! — მომესმა გაბრაზებული და თან დამცინავი ხმა! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ფანჯარასთან დირექტორი იდგა და თითს მიქნევდა.

— წაბრძანდი ახლავე ჩემს კაბინეტში და მე შენ გიჩვენებ, ვინ არის „ჩტო"! — ხელი ტუჩებთან მიიფარა და რატომღაც ხველა აუტყდა.

ვაი, შენ ჩემო თავო! რა უნდა მექნა! არც კი ვიცი, რატომ, თითის წვერებზე გავიარე დერეფანი და კანცელარიაში შევედი.

— რა იყო, ხომ არაფერი გტკივა? რა მოხდა? — დაფეთდა დეიდა ქეთო.

— მოხდა... დამიჭირეს! — თავი ჩავღუნე. ის იყო, დირექტორიც შემოვიდა.

— შებრძანდი, ქალბატონო! — კარი გააღო და შემიპატიჟა — ყოჩაღ! ეს მუდამ შენ ხარ, ნიურას მაგივრად რომ მპასუხობ ხოლმე? ყოველდღე აგვიანებ, არა? გამოსარკვევია, რას აკეთებ, ყოველდღე რომ აგვიანებ!

„აბა, რა უნდა მეთქვა?" — გავიფიქრე. თავი ჩავკიდე და ზურგით მივეყრდენი კედელს.

— ჩტო? ჯანიკო უ დირექტორა? — მომესმა კანცელარიიდან და კარი ჩვენი კლასის დამრიგებელმა, რუსულის მასწავლებელმა ივან ფიოდოროვიჩმა შემოაღო. მან ჯერ მე შემომხედა და მერე დირექტორს. — რა მოხდა, რა დააშავა? — ჰკითხა და ისევ ჩემზე გადმოიტანა მზერა.

— მე რატომ მეკითხებით, ივან ფიოდოროვიჩ, ამ ქალბატონს ჰკითხეთ. ნაწნავი რომ არ გადაეგდო მხარზე, ვერც მივხვდებოდი, რომ ეგ იყო... — ბრაზს ვერ იოკებდა დირექტორი.

— ნუ, ნუ, ნუ...ნე ნადო ვალნავატსია. ვსიო ვიასნიტსია... — ივან ფიოდოროვიჩი მე მომიბრუნდა, სკამზე დამსვა, თვითონ პირდაპირ დაჯდა, სათვალეები მოიხსნა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიცურა. — ნუ რასკაჟი.

— დერეფნის რაფაზე წამოსკუპებულიყო, — დამასწრო დირექტორმა, — და, რომ შევეკითხე, ვინ არის-მეთქი, „ჩტოო", მიპასუხა ნიურას მაგივრად, წარმოგიდგენიათ?

ივან ფიოდოროვიჩმა ღიმილი ძლივს შეიკავა, იმასაც ხველა აუტყდა.

„აა, მივხვდი. წეღან, ეტყობა, დირექტორსაც გაეცინა და იმიტომაც ატეხა ხველა. გაიცინეთ, დალოცვილებო, სიცილი არა სჯობია სიბრაზეს?" — გადავწყვიტე.

— შენ თქვი. — გამამხნევა მასწავლებელმა.

— ივან ფიოდოროვიჩ, ჩვენს ქუჩაზე ერთი ხე რამდენი ხანია დგას... — ავლაპარაკდი ჯერ ნელა, დარცხვენილი.

— მერე? — ღიმილი დაეტყო ჩვენი კლასის დამრიგებელს.

— მერე და, არასოდეს აყვავებულა, წარმოგიდგენიათ?

— ხო, ხო, ხო, რა მომხდარა?! — ისევ ჩაილაპარაკა დირექტორმა.

მე ნერწყვი გადავყლაპე.

— დღეს სკოლაში რომ მოვდიოდი... რას ვხედავ! — სხაპა-სხუპით, გატაცებით ავლაპარაკდი. — აყვავებულა ჩემი ხე, თეთრად აყვავებულა! ნუში ყოფილა, მე კი არ ვიცოდი, რა ხე იყო. აი, ზუსტად ასეთი ყვავილები ასხია, ძალიან ბევრი და იცით, რა ლამაზია?... — ჩემი კაბის კალთა დავანახვე მასწავლებელს.

— მოგეწონა? — ჩამეკითხა მასწავლებელი. — ნუშის ხე მართლა დიდებულად ყვავის... პოეტურია, არა? — მოუბრუნდა დირექტორს. დირექტორი კი თითქოს დაიბნა, პატარა ბავშვივით უპასუხა, დიახო.

— წადი ახლა კლასში და, თუ ჩემი ხათრი გაქვს, აღარ დაიგვიანო, კარგი?

— კარგი. — გამოვვარდი კაბინეტიდან, დეიდა ქეთოს ვაკოცე და სულ ტრიალ-ტრიალით მივედი კლასამდე.

საკლასო ოთახის კარი ოდნავ ღია იყო. შევიჭყიტე: ვიღაც კაცი მოსწავლეებისაკენ ნახევრად შებრუნებულიყო და ფანჯარაში იცქირებოდა, ბავშვები ჩანთებში იქექებოდნენ.

ღია კარში გვერდულად შევიპარე, ჩემს მერხთან ფეხაკრეფით მივედი, ჩანთა მერხში შევაცურე და სკამზე დავეშვი.

— რას ეძებთ? — შევეკითხე ნელის, თან მერხზე გაფენილ ფურცელს დავაცქერდი.

— ეს ანკეტა შენია, წაიკითხე და შეავსე. — მიპასუხა ნელიმ. — ამდენ ხანს სად იყავი?

— ნუშის ხესთან. — სხვათაშორის ვთქვი და ანკეტას კითხვა დავუწყე.



— ვინ დაგირიგათ?

— ფიზიკამ.

— სია ამოიკითხეს?

— არა! რომც ამოეკითხათ, რა...

უკვე ყველამ იცის, რომ აგვიანებ და „არას“ მაინც არავინ დაგიწერდა.

— გშურს? შენც დაიგვიანე და არავინ დაგიწერს. — ორივეს გაგვეცინა.

კლასს სასწრაფოდ თვალი მოვავლე, ბიძინას თავი ანკეტაში ჩაერგო, რაღაცას გამალებით წერდა. გვერდით თინა ეჯდა და ისე იცინოდა, ცრემლები სცვიოდა. ძალაუნებურად მეც გამეცინა.

ანკეტაში კი ჩვეულებრივი შეკითხვები იყო დასმული. მომეწონა მხოლოდ ერთი გრაფა — „რა გაინტერესებთ და ვინ გინდათ გამოხვიდეთ.“

კლასში ფიზიკის მასწავლებელი შემოვიდა, სტუმართან მივიდა, რაღაც უთხრა და მერე კლასს მოუბრუნდა:

— თითოეული შეკითხვა რამდენჯერმე წაიკითხეთ და ისე გაეცით პასუხი. თუ შეგეშლებათ, ხაზს ნუ გადაუსვამთ, ფრჩხილებში ჩასვითო.

— მე უკვე გადავუსვი, მასწ. — ვითომ ძალიან შეწუხდა ჯამლეთი და თან თვალი ჩაგვიკრა.

„მიყვარს ლიტერატურა და ასტრონომია, მინდა ასტრონომი გამოვიდე. ისეთი ხომალდი გამოვიგონო, ციოლკოვსკი რომ ოცნებობდა და გავფრინდე მთვარეზე, უფრო მარსზე.“ — სასწრაფოდ ჩავწერე ანკეტაში და მაშინვე ჩავაბარე მასწავლებელს.

დერეფანში უკვე იდგნენ ბავშვები და ჩუმად საუბრობდნენ.

— ვის შია?! — გავძახე ამხანაგებს.

— ყველას! — თითქმის ერთხმად მიპასუხეს და სასაუზმეში შევცვივდით.

მოლა დახლს ზურგით მიყრდნობოდა და ილუკმებოდა. ცხვირი გასწითლებოდა, ეტყობოდა მდოგვისაგან, და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— პურს უყნოსე, შე შტერო! — თავზე ხელი დააჭირა გიგამ.

— მოიტა, მე ყნოსვა არ მინდა, კარგად ვიტან მდოგვს. — დაეძგერა ჯამლეთი.

— აჰა, ჭამე, — სასწრაფოდ მივაწოდე საუზმე ჯამლეთს. — ვიცოდი, მოლას ჭამას ჩაამწარებდა.

ბიძინა აგვიანებდა სასაუზმეში ჩამოსვლას. ნეტავი რას წერს ასეთს? — გავიფიქრე.

— დამაგვიანდა, — ვითომ ძალიან შეწუხებულმა თქვა მოლამ.

— უჰ, ისტორიას რა ეშველება?! — გაიცინა ჯამლეთმა და მოზრდილი ლუკმა გადაყლაპა.

— ანკეტა დაგრჩა შეუვსებელი და შენი ბიოგრაფიის დაწერა გაუჭირდებათ. — ისე თქვა გიამ, იატაკისათვის თვალი არ მოუშორებია.

— ჯანიკო, ჯანიკო, გეძახიან! — ქარივით შემოიჭრა გიზო.

— ვინ? — გავოცდი. — ეე... — ავბუზღუნდი — მშიოდა.

— შეგინახავთ! — მომაძახა თინამ.

კიბის ორ-ორ საფეხურს ვახტებოდი, კლასში შევედი.

— შეიძლება? — ვიკითხე.

— მობრძანდი, მობრძანდი! — მითხრა ფიზიკის მასწავლებელმა, გაიღიმა და, როგორც ყოველთვის, გაწითლდა.

ხშირად მიფიქრია, რატომ წითლდება ხოლმე ყოველთვის ეს მართალი და კარგი კაცი. მეც მჩვეოდა გაწითლება და ამისათვის ჩემი თავი ხანდახან მძულდა კიდეც.

ერთხელ ფიზიკაში სამიანი მივიღე, ძალიან მეწყინა და გავწითლდი.

— რა მოხდა მაგისთანა, რომ წითლდები? — მითხრა ნელიმ.

მხრები ავიჩეჩე.

— აბა, რას ლაპარაკობ? — თქვა მაშინ მასწავლებელმა. — ადამიანი გაწითლების უნარს რომ დაჰკარგავს, გროშია მისი ფასი. — ეს სიტყვები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელში ჩაილაპარაკა ბეროზამ და ისევ გაწითლდა, თან უხერხულად გაიღიმა...

— ესე იგი, თქვენ მილიარდები ღირხართ, არა, მასწ?! — თქვა ჯამლეთმა. კლასს გაეცინა.

ჯერ თითქოს ეწყინა მასწავლებელს, მაგრამ მერე იმანაც სიცილი ვერ შეიკავა, თანაც კლასიც რომ აჰყვა, გაბრაზება ვეღარ მოახერხა, თორემ სულ ცოტა, საათიანი ლექციის მოსმენა გველოდა.

ფიზიკის გაკვეთილები ლიტერატურის გაკვეთილებივით საამოდ გვეჩვენებოდა, ახლაც იდგა ეს ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და ღიმილით შემომყურებდა.

— ახლოს მობრძანდით... — მანიშნა სტუმარმა. — ეს ანკეტა თქვენია?

გამოვართვი, დავხედე და ვიგრძენი, რა დიდი სიამოვნებით დავხევდი, მაგრამ ისევ უკან მივაწოდე. — დიახ.

— რატომ მიჯავრდებით? — კაცმა ხელი გულზე მიიდო.

— არა, არ გიჯავრდებათ. ასეთი ჩვეულება აქვს. ჩვენთან სულ შუბლშეკრული ლაპარაკობს, ამხანაგებთან კი სულ იცინის.

— აჰა, თქვენ უკვე ჩვეულებებიც გქონიათ. — ისევ ალაპარაკდა სტუმარი.

მე მხრები ავიჩეჩე და მგონი დავიმანჭე.

— ძალიან მოგვეწონა, გენაცვალე, შენი ანკეტა. — სასწრაფოდ განმუხტა ატმოსფერო მასწავლებელმა.

— იცით, რა არის ასტრონომია? — ჩამეკითხა უცნობი. ფიზიკის მასწავლებელს ავხედე, თვალებით მანუგეშა და ცოტა გაღიზიანებულმა კბილებში გამოსცრა:

— იცის, ფიზიკაც იცის.

— მათემატიკა და ქიმია არ ვიცი, სჯობს თვითონ გითხრათ, სანამ შემეკითხებოდეთ. — უხერხულად გავიღიმე.

— ეგ არაფერი, ისწავლით. ციოლკოვსკის, ნიუტონის, ბაირონის სურათები მაგიდასთან გაქვთ გაკრული... ხომ მართალია?

— ვაჟა ფშაველაც, — დაუმატა მასწავლებელმა.

— მერე რა? — შევწუხდი. რა დაკითხვას მიწყობენ-მეთქი, და მასწავლებელზეც გავბრაზდი: „რატომ უამბო ნეტავ ყველაფერი? ვინ ეკითხება ვიღაც უცხო კაცს, ვისი სურათი მაქვს გაკრული საწერ მაგიდასთან. როგორ მეჯავრება ეს სულში ხელების ფათური. შინ რომ მივალ, სულყველაფერს უჯრაში შევინახავ, მარტო ბებიას სურათს დავტოვებ. თუმცა ვინ ეკითხება ნეტავი ამას, არაფერსაც არ მოვხსნი... რა ჩემი ბრალია, რომ მათემატიკას და ქიმიას ვერ ვსწავლობ. ვინ მოიგონა მაინც ეს ქიმია. რა კარგი კაცი ყოფილა მენდელეევი და ეს თავში საცემი ელემენტების ცხრილი რამ გააკეთებინა... ცოცხალი რომ იყოს, წერილს მივწერდი, შევეკითხებოდი, იცოდა თუ არა ქიმია ბლოკმა? იქნებ არ იცოდა, მაგრამ ხომ წერდა გენიალურ ლექსებს! აბა თვითონ დაეწერა ისეთი ლექსები! საკუთარი ქალიშვილი მიათხოვა პოეტს, მაგრამ არა მგონია, რომ მის საყვარელ სიძეს კაჭკაჭივით ჩაეჭიკჭიკებინა სიმამრის ელემენტების ცხრილი".

ვფიქრობდი და სადღაც ბურანში მესმოდა მასწავლებლისა და სტუმრის საუბარი. ზარი დაირეკა. ისინი გამომემშვიდობნენ და ძალიან კმაყოფილები წავიდნენ, მაგრამ ახლა მეც მკითხონ, როგორ გუნებაზე დამტოვეს?!

... გეოგრაფიის კაბინეტის კედლები განსაკუთრებულად, გულისგამაწყალებლად აჭრელებული მომეჩვენა. მაგიდასთან დავჯექი და თვალებზე ხელები ავიფარე.

— რა უნდოდათ? — ხმაზე ვიცანი, ბიძინა იყო.

— შტერი ხარო, მითხრეს, — ვთქვი სხვათაშორის.

— გაგიჟდნენ?! — ისე გაბრაზდა ბიძინა, გამეცინა და მხარზე ხელი ჩამოვადე.

— ქიმია და მათემატიკა ისწავლეო. — სახე ახლოს მივუტანე.

— უჰ, ეგ შეუძლებელია, — აღშფოთდა ვიღაცა.

— რა უპასუხე? — ჩამეკითხა თაზო.

— ნიჭი არა მაქვს და რა ვქნა-მეთქი. — ვითომ გავიღიმე, მაგრამ მე მგონი, უფრო დავიმანჭე.

—ძალიანაც კარგი ნიჭი გაქვს, მაგრამ წიგნების კითხვის მეტს არაფერს აკეთებ. — შესწორდა სკამზე ბიძინა, რადგან კლასში მასწავლებელი შემოვიდა.

— მასწ., — გზა გადავუჭერი, — ნუ გამიძახებთ, რა?

— კი ბატონო, მაგაზე გაწყენინებ?! — გამიღიმა გეოგრაფიის მასწავლებელმა, საჩვენებელი ჯოხი მაგიდაზე დადო და ჟურნალი გადაფურცლა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, სიის ამოკითხვა დაეზარა და ისევ დახურა.

კარი ფრთხილად გაიღო და ჭირიკო შემოიპარა. ხელში იმასაც ჯოხი ეჭირა, გამეღიმა.

— დაჯექი, ჩქარა! — შეჰყვირა მასწავლებელმა. — და... ეგ კეტი გადააგდე!

— ეხლავე, მასწ. ეხლავე. — თქვა სხაპასხუპით მირიკომ, თვალები აუციმციმდა, თავის ადგილზე დაჯდა, მაგრამ ჯოხი როდის მიუტანა მასწავლებელს, არ ვიცი.

მასწავლებელი ჯერ რუკების გადაკიდება-გადმოკიდებით გაერთო, მერე ჩიტო გამოიძახა, კარლოს ორიანი დაუწერა, მოლა კუთხეში დააყენა, მგონი, ვიღაც გარეთაც გააგდო, მაგრამ ყველაფერი ეს ჩემს თვალწინ მუნჯი კინოლენტივით ტრიალებდა. საკუთარ თავზე ვბრაზობდი და გუნებაში სულ უნიჭოს ვეძახდი.

— მოიხედე. — ფრთხილად გამკრა ბიძინამ იდაყვი. მაშინღა მივხვდი, თურმე ზურგით ვიჯექი.

— რა იყო? მაპატიე.

— გინდა, მამიდაჩემთან ვიაროთ მათემატიკაში.

— დეიდა თამართან? — გამეხარდა. ეს დაბალი, მსუქანი, ლამაზი ქალი ძალიან მიყვარდა, მიკვირდა, ასეთი პოეტური არსება მათემატიკოსი რომ იყო.

— შენც ივლი? — ჩავეკითხე.

— ვივლი. — ღიმილით თქვა ბიძინამ. ალბათ ჩემი გულისათვის, თორემ თვითონ რაში სჭირდებოდა მეცადინეობა.

უეცრად კლასში საშინელი აურზაური ატყდა. მაჭარა ფეხზე წამომდგარიყო, თავზე ხელს ისვამდა და საცოდავად მოთქვამდა.

— მე არ ჩამირტყამს, მასწ.! — ყვიროდა მირიკო, თან ხმამაღლა იცინოდა.

— აბა, ვინ ჩაარტყა, ლექავა? — აღშფოთებული იყო მასწავლებელი.

— რა გითხარი მე!..

— მასწ, ჩემი ჯოხი თქვენ გიჭირავთ. — თქვა მირიკომ და უფრო ხმამაღლა გაიცინა.

— რას მერჩოდით, მასწ., მაშ, თქვენ ჩამარტყით, არა? — ახლა მასწავლებელს შესტირა მაჭარამ.

— მე? — იკითხა მასწავლებელმა და კლასში სიცილი გაისმა. — გადაირიეთ თუ მე მაგიჟებთ?

— როგორ გეკადრებათ, მასწავლებელო! — მთელი სერიოზულობით განაცხადა კლასმა.

— ლაპ-პარაკი-ი! — იყვირა მასწავლებელმა. კლასი გაისუსა. — ვის იგდებთ თქვენ მასხარად, თქვე... — ძლივს შეიკავა პირზე მომდგარი სალანძღავი სიტყვა. — გამობრძანდით ორივენი, აბა, გამოიტანე შენი ჯოხი, ვაჟბატონო! მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა გაკვეთილებზე ჯოხების ტრიალი!

მასწავლებელმა მოულოდნელად კლასი გადაჭრა, მირიკოს მაგიდასთან მივიდა, უჯრაში ხელი შეყო და ჯოხს დაუწყო ძებნა.

—ესეც ასე. — თქვა მასწავლებელმა. ისეთი კმაყოფილი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, მისწვდა ჯოხს, გამოსწია, მაგრამ უეცრად ვერ გამოიღო. არ შეიმჩნია და კიდევ გამოსწია, კიდევ, კიდევ და... მირიკომ უკან დაიხია. მთელი კლასი ფეხზე ადგა, ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მასწავლებელს, ბოლოს და ბოლოს, რას გამოიღებდა მაგიდიდან. მასწავლებელმა გამოაძრო ჯოხი და იატაკზე დაიბჯინა. ჯოხი ძალიან გრძელი იყო.

— ეს თუ ჩემი ჯოხია, მასწ, მაშინ გაზრდილა. — თქვა მირიკომ.

— გადავირევი. — ჩაილაპარაკა მასწავლებელმა, ისევ ააყოლა ჯოხს თვალი.

—რა არის, ბიჭო, ეს? — შეეკითხა უკვე დამცხრალი.

— არ ვიცი, მართლა არ ვიცი. — მხრები აიჩეჩა მირიკომ.

— რა არის აქ გაუგებარი? — წამოვდექი. მთელი კლასი ჩემკენ შემობრუნდა. — მირიკომ პატარა ჯოხი თქვენს მაგიდაზე დადო, თქვენი ჯოხი ფანჯრის რაფაზე დევს. ეს რაღაც გრძელი ჯოხი კი ალბათ სხვისი დატოვებულია და ახლა თქვენ აღმოაჩინეთ...

— მიხვდით, მასწ.? — კვერი დამიკრა მირიკომ.

მასწავლებელი იდგა და, მე მგონი, ცოტა გაოცებული შემომყურებდა. კლასში ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის შემდეგაც მასწავლებელმა თუ ვერ ივარგა, აუცილებლად დიდი უსიამოვნება უნდა შეხვდეს. ასეთ შემთხვევაში ხშირად დირექტორსაც მოიშველიებენ ხოლმე, მაგრამ ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი კერკეტი კაკალი გახლდათ და ვაგლახად თავს არ გაილანძღავდა, ამიტომ... ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— ზდაიუს! — თქვა სიცილით და ხელები მაღლა ასწია, ისე, რომ ჯოხი ხელიდან არ გაუშვია.

„ინტელიგენტი" . — გავიფიქრე ჩემთვის, ეტყობა, აღფრთოვანებული თვალებით ვუცქეროდი, ვიღაცამ გვერდიდან ალერსით ნაწნავი ამაწიწკნა.

„ეს ნაწნავები რომ არ მქონდეს, ნეტავ ამ ხალხს რა ეშველება?!" — გავიფიქრე და უცებ კარგ გუნებაზე დავდექი.

## [illegible]

დასასრული

ნიკიურში თანხმოვანს აღნიშნავდა, ბერძნებმა ა ხმოვნის გამოსახატავად გამოიყენეს, სემიტური ი ო დ -ი ხმოვნის გადმოსაცემად და სხვ.

ფინიკიურ ანბანში წერის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ. თავდაპირველად ბერძნებიც ასე წერდნენ, შემდგომში კი წერის მიმართულება შეცვალეს. მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა. ჩვენამდე მოღწეულია ბერძნული წერილობითი ძეგლები, რომლებშიაც ერთი სტრიქონი დაწერილია მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე — მარცხნიდან მარჯვნივ და ა. შ. ბერძნულად წერის ასეთ მიმართულებას ბუსტრეფედონი ჰქვია (ბერძნული სიტყვებიდან: ბუს „ხარი"; სტრეფეო „ვატრიალებ"). ეს სახელი კი იმიტომ დაერქვა, რომ წერის ამგვარი მიმართულება ჰგავს გუთნეულის მუშაობის წესს: როცა გუთნეული ერთ კვალს გაიტანს, შემობრუნდება და მეორე, საწინააღმდეგო მიმართულებით გააქვს.

ბერძნული დამწერლობის უძველეს ნიმუშებს ათარიღებენ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით. ჩვენთვის უცნობია, როდის და რა პირობებში ისესხეს ბერძნებმა ფინიკიელთაგან ანბანი. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს მოხდა ძვ. წ. IX საუკუნეში, ზოგი ამ მოვლენას XII-XI საუკუნეებით ათარიღებს. არც ის არის ცნობილი, როდის შემოიღეს ბერძნებმა ნიშნები ხმოვნებისათვის, მაგრამ საინტერესოა, რომ ეს ნიშნები უკვე დასტურდება უძველეს ბერძნულ წარწერებში (VIII-VII სს.).

არსებობს გადმოცემა, რომ ფინიკიელმა ზღვაოსანმა კადმმა, რომელიც მივიდა კუნძულ ფერაზე, ასწავლა ბერძნებს ანბანი. ფიქრობენ, რომ ამ ლეგენდაში ჭეშმარიტების მარცვალიც არის. ფინიკიურად კადმი (კ-დ-მ) ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ნიშნავს. ფინიკია საბერძნეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა (ფინიკიელები ცხოვრობდნენ თანამედროვე ლიბანისა და სირიის ტერიტორიაზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე).

არის ლეგენდაც, რომლის თანახმადაც პალამიდმა და სიმონიდმა ბერძნულ ანბანში ზოგი ცვლილება შეიტანეს. ფიქრობენ, რომ, შესაძლოა, აქ სწორედ ხმოვანი ნიშნების შემოღება იგულისხმებოდეს.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა და იხვეწებოდა დამწერლობა. კაცობრიობამ დიდი გზა განვლო, სანამ „ხატოვანი" დამწერლობიდან ანბანურ დამწერლობამდე მივიდოდა.

ქართული დამწერლობა, რომელიც სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ანბანურ დამწერლობად, უძველესთაგანია.

ზურაბ სარჯველაძე,

პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ნოდარ შამანაძე

## შოთა რუსთაველი

რუსთაველი გაგვიჩინა
რა ილბალმა და რა ბედმა!
სხივოსანი მისი კალმით
უკვდავება დაგვებედა.
გვაროსანი კაცი იყო,
დიდი საქმის თაოსანი,
ოქროს ხელით დაგვიწერა
წიგნი „ვეფხისტყაოსანი“.
წიგნი დიდი სიყვარულის,
სავსე აზრით, სავსე მზითა.
რომ გავთხოვდი, მე ეს წიგნი
მისახსოვრა მამამ მზითვად.
ვბაძავდი და კვლავაც ვბაძავ
ასმათს, ნესტანს და თინათინს,
სამარეშიც თან ჩამყვება
მე ამ წიგნის ათინათი.

მთქმელი — ფაცო აბაშიძე (79 წლისა),
ჩამწერი — ირმა მემარნიშვილი,
ჭიათურა, ზოდის საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## მზე — შინა

მზე — შინა და მზე — გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო;
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო.
გათენდი, თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო.
მეცხრე ვაჟი დაგვებადა,
მზევ, შინ შემოდიო.
ერთი გოგო აკვანში გვყავს,
მზევ, შინ შემოდიო.

მთქმელი — იულია გვიშიანი,
ჩამწერი — ლაურა ბიწაძე.
ჭიათურა, ქვაციხის საშუალო
სკოლა, X კლასი.

## მოხუცი მეწისქვილე

წისქვილში ვზივარ დღედაღამ,
მატკბობს მდინარის ჩხრიალი,
ბორბლებზე წყალი ეცემა,
ღამე არის თუ დღე არი.
წისქვილის ქვაზე თამაშობს
და ცეკვავს სარეკელაო,
ხვიმირას ფქვილის მზე ადგას,
ივსება ნელა-ნელაო.
იფქვის და იფქვის მარცვალი,
ნელა ჩამოდის კრიჭაში,
როგორც კი ჩამოილევა,
სიმინდს დავაყრი იმ წამში.
წისქვილი ჩემი სახლია
და ჩემი გულის ზიარი,
შინ ერთ ღამესაც ვერ გავძლებ,
ვერ დავიძინებ სიამით.
თუმცა დავბერდი, ჯერ ისევ
მკლავებში მომდევს ღონეა,
თმაში ჭაღარა ზოგჯერა
წისქვილის მტვერი მგონია.

მთქმელი — მარიამ ჩინჩალაძე
(72 წლის),
ჩამწერი — ლევან ნახუცრიშვილი.
ქარელი, ბრეთის საშუალო
სკოლა, X კლასი.

## მეცხვარის ლექსი

მეცხვარე მქვია, ცხვარს დავსდევ
ფეხმარდად მთა და ბარშია,
საბან-გობანი არ მინდა,
ღამეს ვათენებ კარშია.
სიცოცხლეს მმატებს, მამხნევებს
ჩემი ერთგული მურია,
თუ ჩამეძინა ჩამოღლილს,
ფხიზლად უჭირავს ყურია.
რომ გამოჩნდება დილით მზე,
ამოვა ნალამურია,
ავათამაშებ თითებსა,
ხმატკბილობს სალამურია,
გულს ეფინება სალბუნად,
მომხიბვლელ-საამურია.
ჩემი ყოფა და ცხოვრება
მერცხალთან შესადარია,
ის მოდის, მე კი მივდივარ,
მთაზე მიმიდის ცხვარია.
ჩემი ხვედრია მუდამა:
სეტყვა, წვიმა და ქარია,
ნაშრომს, ნაწვალებს, ნაჯაფარს
ცხვრის ფარით გამიხარია.

მთქმელი — პოლექსია ძინძიბაძე
(86 წლის),
ჩამწერი — ლელა ძინძიბაძე.
საჩხერე, იტავაზის შვიდწლიანი
სკოლა, VII კლასი.

## ერთად ვიაროთ

ვიაროთ, ერთად ვიაროთ,
თორემ ღამდება, ბნელდება,
ბედი გვეწვევა ერთადა,
ხალისი დაგვებედება.
წავიდეთ, ერთად ვიაროთ,
აგვცდება გასაჭირია,
ნუ დავშორდებით ერთმანეთს,
ვითარცა ქვა და კირია.

მთქმელი — ელენე ქერდიყოშვილი
(78 წლის),
ჩამწერი — თამუნა მარჯანიძე.
ქარელი, მე-2 საშუალო
სკოლა, XI კლასი.

## ქართველი კაცის ვალია

ქართველი კაცის ვალია,
ქართველი კაცის ზნე არი:
უღელი ხარი იყოლოს,
ორიოდ ძროხა რქიანი,
ათიოდ ცხვარი იყოლოს,
ხუთიოდ თხანი რქიანი,
ცოლი შეირთოს მშრომელი,
პატიოსანი, ჭკვიანი,
შვიდიოდ შვილი გაზარდოს,
გამრჯე და თავაზიანი.

მთქმელი — დავით ცერცვაძე
(71 წლის),
ჩამწერი — ფიქრია ცერცვაძე.
ჭიათურა, ვაჭევის საშუალო
სკოლა, XI კლასი.

## აგერ გვყავს კომბაინერი

თუნდა ამოდი, ჰე, მზეო,
და თუნდა დაიგვიანე,
ჩვენს კალოს მაინც გავლეწავთ,
კიდევაც გავანიავებთ.
აგერ გვყავს კომბაინერი,
ხელში უჭირავს შტურვალი,
ყანაში ხომალდს აცურებს,
დღეები უყვარს ცხუნვარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწაფებია შრომასა,
კაცი რო წყალსა მწყურვალი.
ალარ სჭირდება კალოზე
ძნის გაშლა, ფიწლის ტრიალი,
მანქანა უდგას ისეთი,
რომ გააქვს გუგუნ-გრიალი.
ვაჟკაცო კომბაინერო,
გამრჯე ხარ, შრომა გწყურისა,
ჭირიმე შენი მარჯვენის,
გარჯაში გაწაფულისა,
გემატოს ხვავი, ბარაქა,
გამხარებელო გულისა.

მთქმელი — გიორგი დიაკონიძე (84 წლის),
ჩამწერი — ომარ თოთოსაშვილი
ვანი, უხუთის საშუალო სკოლა, XI კლასი.

## ბერიკაცის ნათქვამი

წუთისოფელი წამია,
დრო მირბის ჩქარა-ჩქარაო,
ამიტომ უნდა იბრძოლო,
მამულს ახმარო ძალაო.
იმდენი საქმე აკეთო,
ყველას რომ გაუკვირდება.
აჭარას თურქი რას უზამს,
რუსი მოყვრობას გვპირდება.
ქართლ-კახეთი, იმერეთი...
ყველა არის ჩვენი ძმანი,
მტერი თუ გამოგვიჩნდება,
ცხვირში წავადინოთ ძმარი.

მთქმელი — მემედ ჭყონია (96 წლის),
ჩამწერი — ნარგიზა ბერიძე.
შუახევი, ბრილის საშუალო სკოლა, IX კლასი.

## გაბედული გლეხი

სოფელ ქვალითში ძველად ერთი უჯიათი და გულქვა მებატონე ცხოვრობდა თურმე. ბაგრატი რქმევია. მის საბატონოში კრინტის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ყველა დამუნჯებულივით დაიარებოდაო, ამბობენ.

ბაგრატის ეზოში ყვირილას ერთი ტოტი გადადიოდა, ზამთარ-ზაფხულ ანკარა ღელე ჩხრიალებდა საყვარლად. ერთ დღეს ეს წყალი რატომღაც სულ მთლად დამშრალა.

— რამ დააშრო ჩემი ღელე! — აყვირებულა ბაგრატი.

იქაური მცხოვრებლები გასუსულან, შეპასუხება ვერავის გაუბედავს. მხოლოდ ერთ გლეხს გამოუჩენია სიმამაცე, მრისხანე ბატონისთვის მოუხსენებია:

— პირში წყალი გვაქვს ყველას ჩაგუბებული, დაშრება, აბა რა ჯანაბა მოუვაო!

მთქმელი — კალენიკე ბიწაძე (81 წლის),
ჩამწერი — გიორგი მაღლაკელიძე,
ზესტაფონი, 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

## რატომ დაერქვა სვირი

ეს ამბავი უძველეს დროს მომხდარა. დასავლეთ საქართველოს ოსმალები შემოსევიან. მათ ჯარს ზესტაფონამდე მოუღწევია, მაგრამ ჩვენი სოფელი ვერა და ვერ აუღიათ. დამარცხებულ და კუდამოძუებულ ოსმალებს ჩვენი სოფლისთვის „სვირი“ უწოდებიათ, რაც მათ ენაზე „აუღებელს“ ნიშნავს.

ამის შემდეგ ჩვენ სოფელს სვირი ჰქვია.

მთქმელი — ტატიანა ჭურაძე (78 წლის),
ჩამწერი — ნათია მჭედლიძე.
ზესტაფონი, პირველი სვირის საშუალო სკოლა, X კლასი.

## გადმოცემა უზუნთაზე

უზუნთა საჩხერის რაიონის მთიანი სოფელია. გადმოცემა მოგვითხრობს: ამ სოფელში უძველეს დროს თათრები შემოიჭრნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მთიან მიდამოებში მშვენივრად მოვლილი და ნაყოფიერი ვენახები რომ იხილეს.

— შეხედეთ, უზუნი, უზუნიო, — გასძახეს თურმე ერთმანეთს. „უზუნი“ თათრულად „ვაზს“ ნიშნავს. სოფელს აქედან დაერქვა უზუნთა.

მთქმელი — ცისანა მაჩაიძე (41 წლის),
ჩამწერი — ფატი მაჭარაშვილი,
საჩხერე, კორბოულის საშუალო სკოლა, X კლასი.

## ანდაზები

- ქათამმა იმდენი იკაკანა, კვერცხი ველარ დადოო.
- ცხრა ძიძის ხელში ბავშვი შიმშილით მოკვდებაო.
- ათას უგულო მეგობარს გულადი ორი სჯობიაო.
- ნუ მიირთმევ მასო, რაც ერგება სხვასო.
- ნაცარში ანგარიში ბაზარში არ გამოგადგებაო.
- ქვავ, აგორდი და მე ნუ მომხვდებიო.
- ჩემი რა გაგკვირვებია, ქვანიცა ბერდებიანო.
- ქონი აიღეს და მსუქანს მიაკრესო.
- ღობეს რომ მარგილი გამოძვრება, ადვილად წაიქცევაო.
- ღორი ზღვის გაღმაც ღორიაო.
- შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ შენვე არ მოგხვდესო.
- ჩიტი ფრთითაო, ქალი ქმრითაო.
- ძველი ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგეწონებაო.
- ძმა იმიტომაა საყვარელი, რომ ძმაც არის და ძმობილიცაო.
- ძუნწი კაცის ჯამში ლუკმა არ დასველდებაო.
- წისქვილის ქვები ერთმანეთს რომ არ ეხმარებოდნენ, ცალი ვერაფერს დაფქვავსო.
- წუნია ქალიშვილი უქმროდ დარჩაო.
- წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო.

მთქმელი — თამარ შეწირული. (68 წლის),
ჩამწერი — მარინა შეწირული.
ოზურგეთი, ციხისფერდის არასრული საშუალო, სკოლა, VI კლასი.

ჩვენი წარსულიდან

# ႢႫႨႰႨ ႻႫႤႡႨ



დავითი და კონსტანტინე

VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბი სარდალი მურვან აბულყასიმი, მას შემდეგ, რაც ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო სპარსეთი და სომხეთი, ურიცხვი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა, დალეწა და დააქცია სამცხე-ჯავახეთის ციხე-სიმაგრენი, ააოხრა და ამოწყვიტა მოსახლეობა და ქალაქ ოძრხესა და მის სანახებში ბანაკი დასცა.

უცნობი ქართველი მწერლის სიტყვით, მტრის ლაშქარი „მოეფინა ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა ვითარცა მღილი და მუმლი".

მას შემდეგ, რაც მურვანმა სამცხე-ჯავახეთი დაიპყრო, ლაშქარი ზემო ქართლისაკენ დასძრა და არგვეთის სამთავროს მიადგა. ამ დროს არგვეთს მთავრობდა დიდად განათლებული ფეოდალი დავითი (ერთი გადმოცემით, გვარად მხეიძე), მას გვერდს უმშვენებდა მისი უმცროსი ძმა, მამაცი და გულოვანი კონსტანტინე. იმავე მწერლის გადმოცემით, „დავით უხუცესი (ე. ი. უფროსი — ვ. ს.) იყო ჰაეროვან და სპეტაკ ხორციითა და მოწაბლე თმითა, შუენიერი გვამითა და ხშირი წვერითა, ხოლო კონსტანტინე შუენიერი გვამითა, მოწაბლე თმითა, უწვერო, ხოლო ორივენი იყვნენ ახოვანნი წყობათა და ბრძოლათა შინა გამოცდილნი".

გმირმა ძმებმა სასწრაფოდ შეჰკრეს ლაშქარი და არგვეთის სამთავროს საზღვრებთან საომრად განალაგეს.

პირველ ბრძოლაშივე მოიცეს ძალა ქართველთა, სასტიკი დამარცხება აგემეს მტერს. მეწინავე რაზმს დავითი მიუძღოდა. თავად მწერლის სიტყვითვე, „აღიზახა დავითმან ვითარც ლომმან და აოტნეს და განაბნეს მტერი და ურიცხვი მოსრეს", ბრძოლაში სხვა მხრიდან თავისი რაზმებით კონსტანტინე ჩამოერია. მტერი შედრკა და უკუიქცა. მოახსენეს ეს მურვანს, რომელმაც მედიდურად წამოიძახა თურმე: „ვინ არს მკადრე, რომელი წინ აღუდგა დიდსა მოციქულსა მუჰამედსა, დედის ძმასა ჩემსა". ესა სთქვა და დაიწყო დიდი ბრძოლა. დაიხოცა ბევრი ქალი, ბავშვი, მოხუცი. ქართველნი მედგრად ებრძოდნენ მოძალებულ მტერს, თითოეული ხე თუ ბუჩქი სამიზნედ გაეხადათ ქართველებს, ხეებზე ასული მეომრები ისრებს წვიმასავით უშენდნენ. ბევრი დაიხოცა მომხვდურთა ლაშქრიდან, მაგრამ ქართველნი მტრის სიმრავლემ სძლია. მტერმა დაიპყრო არგვეთის სამთავრო, ქალაქი ქუთაისი და აიკლო მისი სანახები.

მურვანმა დიდხანს ეძება ბრძოლის მეთაურნი დავითი და კონსტანტინე, ბევრი ხარჯიც გასწია, მაგრამ მათ კვალსაც კი ვერ მიაგნო, გამოქვაბულებსა და დარნებში შეხიზნულთა შეპყრობა არც ისე ადვილი იყო.

მტრის პატრული დღისით თუ ღამით დარაჯობდა მღვიმეებსა და დარნებს, სადაც ქართველი მებრძოლები თავს აფარებდნენ, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა.

ზეპირსიტყვიერი გადმოცემით, ერთ დილას, როდესაც სათაფლიის დიდწყაროსთან მოხუცი დედაკაცი სარეცხს რეცხავდა, მტრის პატრული თავს წამოადგა, შეიპყრო და მურვანს მიჰგვარა. მოხუცი ქალი დავითისა და კონსტანტინეს დედა აღმოჩნდა. მტერმა იგი აწამა. ნაწამებმა უნებურად წამოიძახა, ჩემს შვილებს სათაფლიაში აქვთ თავშესაფარი, გამოვლენ, თქვენზე შურს იძიებენო, და სული განუტევა.

ამის შემდეგ მტერმა დიდი ცდისა და სისხლის ფასად გმირი ძმები დავითი და კონსტანტინე ხელში ჩაიგდო და შებოჭილები მურვანს წარუდგინა.

მურვანი მის მიერ დაქცეულ საყდართან იამოჯდა და თურმე ჰკითხა: „ვინა ხართ თქვენ, ქვათა და ძელთა მსახურნო, როგორ იკადრეთ წინ-გაწყობა ჩემი?" — და თან გადაიხარხარა. ძმებს აღშფოთება დაეუფლათ და ამაყად მიუგეს: „შენ სიც[illegible] და ქადილი ჩვენზე ამაოა, რადგან შენი დიდება წუთიერია და ადრე გაქრება". მურვანმა ბრძანა, ეწამებინათ ისინი. ათი დღე და ღამე არც საჭმელი და არც სასმელი არ მიუციათ. ათი დღის შემდეგ მურვანმა ნაწამებ ძმებთან თავისი „სჯულის მეცნიერნი" გაგზავნა და დაავალა, ჩვენს სჯულზე მოაქცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კატა

ე. ბენედეკი

მხატვარი ი. რაზმაძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ობოლი გოგონა. მას კატის მეტი არავინა ჰყავდა. ერთხელ გოგონამ ქადა გამოაცხო და ის იყო ჭამას შეუდგა, რომ გვერდით კატა მიუცუცქდა, ნამცხვრის სუნით გალიზიანებულმა მის ირგვლივ ტრიალი დაიწყო, სთხოვდა, ქადის პატარა ნაჭერი ეწილადებინა. გოგონამ კატას დაუცაცხანა და გარეთ გააგდო. ცოტა ხნის მერე კატა სახლში შემობრუნდა და კვლავ შეეხვეწა გოგონას, ქადის პატარა ნაჭერი მიეცა მისთვის. გოგონამ ამჯერადაც თავიდან მოიშორა. საბრალო კატა იქვე, საწოლქვეშ მოკალათდა და დაღონებულმა კრუტუნი დაიწყო. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. უეცრად კარზე ვიღაცამ მაგრად დააბრახუნა, თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვიროდა, კარი გამიღეთო. თუ ნებით არ გამიღებთ, შემოვამტვრევო, — იმუქრებოდა უცნობი.

რას ფიქრობთ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ვიღაცა? ფიქრით რომ არ დაგღალოთ, გეტყვით, რომ კარს ეშმაკი იყო მომდგარი. მას კი გოგონას ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი. რაღა დაგიმალოთ და, გოგონა ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ მთელ დუნიაზე ბადალი არ მოეძებნებოდა. ალბათ, ეშმაკსაც შეეტყო ეს და ახლა გოგონას მოტაცება განეზრახა.

გოგონას შეეშინდა, არ იცოდა, რა ეღონა, სად მიმალულიყო. შეწუხებულმა ტირილი მორთო. მერე კატა გაახსენდა და ცრემლმორეულმა ხვეწნა დაუწყო, მირჩიე, როგორ მოვიქცეო. მაგრამ კატამ უარი უთხრა რჩევის მიცემაზე, გახსოვს, როგორ გამაგდე, როცა ქადის პატარა ნაჭერი გთხოვეო?!

ამასობაში ეშმაკი სადღაც წავიდა, მაგრამ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ დაბრუნდა და უფრო ძლიერად ატეხა კარზე ბრახუნი. იმუქრებოდა: გოგონავ, კარს თუ არ გამიღებ, ძალით შემოგიმტვრევ და ისე მოგიტაცებო.

უფრო მეტად შეშინდა გოგონა, ხვეწნა-მუდარა დაუწყო კატას, იქნებ რაიმე მირჩიოო. კატამ ამჯერადაც უარი უთხრა: როცა ქადის პატარა ნაჭერი გთხოვე, არ მომეცი და ახლა ტყუილად ელი ჩემგან რჩევასო.

ეშმაკმა კი ამ დროს კარი კიდეც შეამტვრია, გოგონას ხელი დაავლო და მოიტაცა.

გოგონა რომ მახინჯი ყოფილიყო, ეშმაკს არ შეუყვარდებოდა. ქადა რომ არ გამოეცხო, კატა არ მოსთხოვდა, მაჭამეო. კატისთვის ქადის პატარა ნაჭერი რომ მიეცა, ისიც, თავის მხრივ, ურჩევდა, როგორ მოქცეულიყო და მაშინ ჩვენს ზღაპარსაც სხვანაირი დასასრული ექნებოდა.

უნგრულიდან თარგმნა
ვანო იმერლიშვილმა

ეთო. „სჯულის მეცნიერნი“ გმირ ძმებთან ვერას გახდნენ, სირცხვილეულნი მბრძანებელს ეახლნენ და მოახსენეს, თავის სჯულზე მტკიცედ დგანანო. მაშინ მურვანმა ბრძანა, აქ მომგვარეთო. ბრძანება აღასრულეს. უჭმელ-უსმელი გმირები მურვანთან მიიყვანეს. სარდალმა ხმას დაუდაბლა, დავითს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა: „დავით, გონიერი და ბრძოლაში გამოცდილი სპასპეტი ხარ, ჩემი კეთილი განზრახვა აღასრულე, მიიღე ჩვენი სჯული და გახდები დიდებული თავადი სპარსეთისა და არაბეთისა. შენი ძმა ჩემს ამალაში იქნება, როგორც ერთი დიდებული და პატივცემული კაცი“.

ამაზე დავითმა მტკიცედ უპასუხა: „მძლავრო ბოროტო, ნუ ფიქრობ ასე. ჩვენ რატომ დავტოვოთ ნათელი და ბნელს შევუდგეთ? არ შეიძლება, ვემონოთ უცხო სჯულს. მზადა ვართ სიკვდილისათვის“.

„შენ რაღას იტყვი, ყრმაო კონსტანტინე?“ — შეეკითხა მურვანი.

„თქვენს მიერ მონიჭებულ საძულველ რჯულს სამარცხვინო სიკვდილი გვირჩევნია“,— მიიღო პასუხი.

აღშფოთებულმა მურვანმა ბრძანა, აწამეთ, გულზე ლოდები დაჰკიდეთ და მდინარეში გადაყარეთო.

ძმები გულმხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს. მტრებმა ბრძანება აღასრულეს.

ხალხმა გულქვაობისა და შეუბრალებლობის გამო არაბთა სარდალს მურვანყრუ შეარქვა.

ხალხმა როდი მიატოვა თავისი გმირები. იქ, სადაც რიონს მდინარე წყალწითელა უერთდება და ხერთვისსა ჰქმნის, ტბა წარმოშობილიყო. მდინარეს სწორედ აქ მოეტანა გმირთა გვამები. ქართველებმა დავითისა და კონსტანტინეს გვამები საიდუმლოდ გადაიტანეს წყალწითელას გორაზე და დანგრეული საყდრის ძირს, აკლდამაში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. ხალხი ამას საიდუმლოდ ინახავდა, ვიდრე საქართველოს გამაერთიანებელმა ბაგრატ მეფემ აქ არ ააგო მონასტერი და გმირი ძმები მაღალ აკლდამაში არ დააკრძალვინა, მონასტერს კი დავითისა და კონსტანტინეს სახელის უკვდავსაყოფად მოწამეთა უწოდა.

ვახტანგ სიდამონიძე

# ჭადრაკი

## მიხეილ კეკელიძე

დაიბადა 1974 წელს. 1986 წელს მოიპოვა ოსტატობის კანდიდატობა, 1987 წელს — თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონობა უმცროს ასაკში. 1988 წელს თბილისის ჭადრაკის სასახლის პირველობაზე (ვაჟებში) გაინაწილა I-II ადგილები, ხოლო კულდიგაში (ლატვია), სსრკ განათლების სისტემის სპორტსკოლების გუნდურ პირველობაზე მეორე დაფაზე დაიკავა მეორე ადგილი (ნახევარფინალში 4,5 რვიდან, ფინალში — 4 ქულა ხუთი შესაძლებლობიდან). 1989 წლის თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონია უფროს ასაკში.

გავეცნოთ ნიჭიერი ყმაწვილის შემოქმედებას.

იაშვილი (ოსტატობის კანდიდატი) — კეკელიძე (ოსტატობის კანდიდატი). თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა. 1988 წელი. ბენონის დაცვა 1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 c5 4. d5 ed 5. cd d6 6. მf3 g6 7. კf4 კg7 8. ლa4 კd7 (8... ლd7 9. კ:d6 ლ:a4 10. მ:a4 მ:d5 11. 0-0-0± პორტიში-ფიშერი) 9. ლb3 ლc7 (სადავოა ავტორის თვალსაზრისი: 9... b5!? 10. მ:b5 კ:b5 11. ლ:b5 მd7 12. კ:d6 მe4 13. კe5 0-0 14. კ:g7 მფ:g7 კომპენსაცია შეწირულ მასალაში. 15. g3! ლf6 16. კg2!± თეთრების უპირატესობით. თუ 16. ლ:d7, მაშინ 16... ლ:b2 17. ეd1 ლc3 18. მd2 ეab8 19. კg2 მ:d2−+) 10. e4 (10. კ:d6 ლ:d6 11. ლ:b7 ლb6 12. ლ:a8 ლ:b2−+) 10.. 0-0 11. მd2 (11. კe2 b5!?) 11... ეe8? („11... მh5! 12. კe3 f5 13. ef gf! 14. g3 მa6 15. კe2 f4 რთული თამაში). 12. კe2 a6 (13. a4!) 13... მ:e4 14. მ:e4 ე:e4 15. კ:d6 ლd8 16. კ:c5 კb5 17. კe3 კ:c4 18. კ:c4 ლa5 19. მფf1 b5 20. კd3 ეe8 21. g3 მd7 22. მფg2? (ეს სტრატეგიულად მართებული სვლა ტაქტიკურად მცდარია, რის გამოც თეთრები ფორსირებულად აგებენ. საჭირო იყო 22. ეd1! მაგალითად: 22... ეac8 23. მფg2 მc5 24. ლa3!± ან 22... მf6 23. მფg2 ეad8 24. კe2 და კf3+− გადამწყვეტი უპირატესობით. პროფილაქტიკური 22. ეd1! რომელიც ალკვეთს ე:e3!-ს, თეთრების პოზიციის კონსოლიდაციის დასაბამია და, ამავე დროს, აფიქსირებს თეთრების უპირატესობას. ამაზე იტყვიან: მამიდასაც ვნახავ, კვიცსაც გავხედნიო) 22... ე:e3! 23. fe ლd2 24. მფh3 მc5 25. ლc2 ლ:d3 26. ლ:c5 ლf5 27.მფg2 ეc8! 28. ლ:c8 ლ:c8 29. ეac1 ლf5 30. ეhd1 კ:b2 31. ეc6 b4 32. h4 კc3 33. მფg1 ლf3 0:1. (31. d6 კ:c1 32. d7 ლc2 და 33... ლ:d1−+).

შემდეგი პოზიცია შეიქმნა შარშან ბათუმში, საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე. შავებითაა ჩოხატაურელი ოსტატობის კანდიდატი გივი ქორიძე.

ქორიძე



კეკელიძე

დაფაზე მსუბუქ ფიგურათა ენდშპილია — მხედარი კუს წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ღია მდგომარეობაში პაიკების ორივე მხარეზე მდებარეობისას უპირატესობა კუს მხარეზეა, მხედრის ძალა ჩაკეტილ, უძრავ პაიკთა პოზიციაში ჩანს. აქ შავების ცენტრალური გამსვლელი e4 პაიკის თეთრ უჯრაზე დამუხრუჭება საგრძნობლად კვეცავს შავების თეთრუჯროვანი კუს მოძრავუნარიანობას, პერსპექტივას. ასე რომ, ამ პოზიციაში მხედარი უფრო ელასტიურია, მაგრამ ამას აბათილებს ლაზიერის ფრთაზე თეთრი პაიკების მეტოქის კუს ფერზე განლაგება. ვნახოთ შესაძლებელი გაგრძელება: 1. მd2 კd5 2. a3 b5 3. a4 b4!

პოზიცია საყაიმო იქნებოდა, თუ არა ერთი გარემოება: თეთრებისათვის ორივე ფრთაზე (უფრო მეფის) დაშორებული გამსვლელი პაიკის შექმნის პერსპექტივის გამო პაიკთა ენდშპილი მოსაგებია. აი, ეს ქვეტექსტი წარმართავს თეთრების უახლოეს სვლებს.

1. მd2 კd5 2. მc4! კ:c4 3. bc b5 (3... h5 4. a4 მფf5 5. g3 მფe5 6. h3 მფf5 7. g4 ან 5... მფg4 6. c5! თუ 4... h4, მაშინ 5. g4 h3 6. g5 c5 7. g6 მფf6 8. მფ:e4 მფ:g6 9. მფd5 მფf5 10. მფc6 მფe4 11. მფ:b6+−) 4. cb cb 5. g4 b4 6. h4 მფd5 (6... h6 7. h5 მფd5 9. g5!) 7. h5! მფe5 8. h6!! (კეკელიძის მიერ უპირატესობის რეალიზაცია ზედმიწევნით საინტერესო და სასწავლოა) 8... მფf6 (8...მფd5 9. g5 მფe5 10. g6+−) 9. მფ:e4 მფg5 10. მფe5 (კეკელიძეს მახვილგონივრული, ნატიფი ფინალი აქვს ჩაფიქრებული. იგებდა აგრეთვე პროზაული 10. მფd4, რომლის შემოწმება მკითხველისათვის მიგვინდვია) 10... მფg6 11. მფe6 მფg5 (თუ 11... მფ:h6, მაშინ თეთრები ისევე იგებენ, როგორც პარტიაში იყო) 12. მფf7 მფ:h6 13. მფf6 b3 14. g5! მშვენიერი ენდშპილის დიდი ხნით ადრე ჩაფიქრებული დამაგვირგვინებელი აკორდია! ქორიძე დანებდა.

## ნორჩი მოჭადრაკეები მესხეთიდან

წელს, მაისში, ადიგენის პიონერთა სახლში კომკავშირის რაიკომის ინიციატივით ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. გავეცნოთ ამ შეჯიბრში გათამაშებულ მეტად საინტერესო პარტიას, რომელშიც თვალნათლივ ჩანს 13 წლის ნორჩი მოჭადრაკის ნანი კაჭკაჭაშვილის ნიჭიერება.



მიხეილ კეკელიძე

ნანი კაჭკაჭაშვილი (სოფელი არალი. მესამეთანრიგოსანი, 13 წლის) — მარგალიტა გუგულიანი (სოფელი ვარხანი. მესამეთანრიგოსანი, 9 წლის). ორი მხედრის დაცვა. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 მf6 4. მc3 კc5 (უფრო ენერგიულია 4... მ:e4! 5. მ:e4 d5, ცენტრში და განვითარებაში დაწინაურებით) 5. d3 0-0? მივიღეთ წყნარი იტალიური, ნაადრევი როქით 6. კg5 h6 7. h4?! (მეფეზე შეტევისათვის h ხაზის გასახსნელად თეთრები ფიგურას სწირავენ შეწირვა პრობლემურია — საინტერესო, მაგრამ სადავო ღირებულებისა) 7... hg 8. hg მg4 9. g6 მ:f2 (ჯობდა 9... d5! განვითარებითა და ცნობილი

გუგულიანი



კაჭკაჭაშვილი

წესის დაცვით: ფრთაზე შეტევის საუკეთესო წინააღმ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# ჰაეროვანი თვლები

ე. წ. ჰაეროვანი თვლების აკრეფა ქსოვისას ხშირად გვჭირდება. ვთქვათ, ქალის ჯემპერისათვის იაპონური სახელო გვაქვს მოსაქსოვი, ან ჟაკეტზე გვინდა ჰორიზონტალური ჯიბის პრილის ან ღილ-კილოს გაკეთება.



სურ № 1

ჰაეროვანი თვლები იკრიფება მარჯვენა ჩხირზე. მათ ასაკრეფად გორგლიდან წამოხული ძაფი ხელისგულზე უნდა გამოვიტაროთ, ცერა თითზე გარედან შიგნით უნდა შემოვიხვიოთ, ჩხირის წვერი თითთან მოხვედრილ ძაფებს შუა უნდა შევუყაროთ, მერე კი გადავიძროთ ძაფი თითიდან და გორგლის ძაფი ქვევით დავჭიმოთ. ამგვარად გაჩნდება ჰაეროვანი თვალი (სურ. № 1).

## ღილ-კილო

რახან ჰაეროვანი თვლების ამოყვანა ვისწავლეთ, ღილ-კილოს გაკეთებაც აღარ გაგვიჭირდება. აქ უმთავრესია დავიხსომოთ ერთი რამ: ქალის ტანსაცმელს — ბლუზას, ჟაკეტს ღილ-კილო, იგივე საკინძი, ყოველთვის უკეთდება მარჯვენა, ხოლო მამაკაცისას -- ყოველთვის მარცხენა კალთაზე.

ღილ-კილო არსებობს მრგვალი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური. მისი ზომა და ფორმა განისაზღვრება დასაკერებელი ღილის ზომისა და ფორმის, ასევე, ტანსაცმლის ხასიათის მიხედვით. დიდი ღილებისთავის ჩვეულებრივ კეთდება 4-6 თვლის ზომის ღილ-კილო, ხოლო — პატარებისათვის 3-4 თვლის ზომისა.

**მრგვალი ღილ-კილო:** ნაქსოვის კიდიდან გამოვქსოვოთ 4-5 თვალი, საკინძისათვის შეგულებულ ადგილას გავაკეთოთ ნამატი. ნაქსოვის უკუღმა რიგზე ნამატის წინა ორი თვალი გამოვქსოვოთ ერთად, ხოლო ნამატი — ჩვეულებრივი უკუღმით. გაჩნდება პატარა ნახვრეტი — მრგვალი ღილ-კილო (სურ. № 2).

**ვერტიკალური ღილ-კილოს** გასაკეთებლად ნაპირიდან გამოვქსოვოთ ასევე, 4-5 თვალი, შევწყვიტოთ გამოქსოვა, ახლად ამოყვანილი თვლები ავქსოვოთ ჩვენთვის სასურველი საკინძის ზომაზე, ვთქვათ, 6 თვლის სიმაღლეზე. შემდეგ ეს აქსოვილი თვლები თავისუფალ ჩხირზე გადავიტანოთ და განვაგრძოთ მარცხენა ჩხირზე დატოვებული თვლების ქსოვა. როცა ამ თვლების რაოდენობას თავისუფალ ჩხირზე დამაგრებული თვლების რაოდენობას გავუთანაბრებთ, შევაერთოთ ეს თვლები და განვაგრძოთ ქსოვა ჩვეულებრივ. მივიღებთ სასურველი ზომის ვერტიკალურ ღილ-კილოს (სურ. № 3).

**ჰორიზონტალური ღილ-კილოს** მოსაქსოვად ნაპირიდან საკინძისთვის შეგულებულ ადგილამდე გამოვქსოვოთ 4-5 თვალი. გავიხსენოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი თვლების გადაქნის წესი. ამ წესით გადავხუროთ დასაკერებელი ღილის მოცულობის შესაბამისი რაოდენობის თვლები, ვთქვათ, გადახურეთ ოთხი თვალი. რიგის ბოლომდე



სურ № 2

ქსოვას ვაგრძელებთ ჩვეულებრივად. შემდეგ რიგში, თვლების გადახურვის ადგილას, ავკრიფოთ იმდენივე ჰაეროვანი თვალი, რამდენიც წინა რიგში გადავხურეთ, ე. ი. ამ შემთხვევაში — 4 თვალი და გავაგრძელოთ თვლების ამოყვანა ჩვეულებრივად. მივიღებთ ჰორიზონტალურ ღილ-კილოს (სურ. № 4).



სურ № 3



სურ. № 4

დეგობა — ცენტრში კონტრთამაშია. მაგალითად: 10. კ:d5 მe7 11. gf ე:f7 12. კb3 მg8 13. მ:d5 კe6. ეს ვარიანტები მიგვანიშნებენ, რომ შავებს უკეთესი შანსები ჰქონდათ). 10. მ:e5!! (ბრწყინვალეა არა მხოლოდ მესამეთანრიგოსნისათვის! ლაზიერის მახვილგონივრული შეწირვით ნორჩი მოჭადრაკე აცხადებს შამათს 6 სვლაში. გზადაგზა იმუქრება ლf5. ასე რომ, ლაზიერის შეწირვის მიღება იძულებითია. თუ 10... ლg5, მაშინ თუნდაც 11. gf ე:f7 12. ეh8! ჩათრევის იდეით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტაქტიკური დარტყმა ვერ შეამჩნია ალიოხინმა ეივესთან მატჩში მსოფლიო პირველობაზე 1937 წელს) 10... მ:d1 11. gf ე:f7 12. კ:f7 მფf8 13. ეh8 მფe7 14. მd5 მფd6 15. მc4X!

ეს მშვენიერი მინიატურა, ნათამაშევი რომანტიკული ეპოქის ოსტატთა სტილში, ნორჩი მოჭადრაკის ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვებაა!

ამ პარტიაში ერთი სადავო მომენტია — 7. h4?!!, ხოლო „უკვდავ პარტიაში" (ანდერსენი — კიზერიცკი. ლონდონი, 1851 წელი) — უამრავი, მაგრამ ამის გამო მომხიბვლელობა არ დაუკარგავს. იგი გენიალობისა და ძლიერი სულის ნაყოფია, რეალიზებაა.

## საჭადრაკო ესთეტიკა

„კომბინაცია არის ფორსირებული ვარიანტი შეწირვით", — ასეთია კომბინაციის ბოტვინიკისეული ფორმულირება. კომბინაცია საჭადრაკო პარტიის გვირგვინია.

საილუსტრაციოდ მოგვყავს კედენ-კოტოვის პარტიაში განხორციელებული კომბინაცია, რომელიც განახორციელა ამერიკელმა დიდოსტატმა



## სარკმელი კოსმოსში

# მეტეორიდი, მეტეორი, მეტეორიტი...

იქ, სადაც კოსმოსური სივრცე და ატმოსფეროს ზედაფენები ერთმანეთს ესაზღვრება, დრო და დრო ხდება ბუნების საოცარი მოვლენა: ატმოსფეროში კოლოსალური — წამში 72 კილომეტრის სიჩქარით იჭრებიან მცირე კოსმოსური სხეულები— მეტეოროიდები. ამ მოვლენისას დედამიწიდან უღრუბლო ღამეულ ცაზე მოჩანს წაგრძელებული ცეცხლოვანი ნათებები. ესენი მეტეორები და ბოლიდებია. მათი ნათების ხანგრძლიობა და სიკაშკაშე საწყის მასასა და გეოცენტრულ სიჩქარეზეა დამოკიდებული. ამ ვარდნილი სხეულების უმრავლესობა ატმოსფეროს სიმკვრივის ზრდასთან ერთად ხურდება, ვარვარდება და მთლიანად იწვის, შედარებით მასიური სხეულები კი ჭკვეთენ ატმოსფეროს მთელ სისქეს და დედამიწის ზედაპირს ეცემიან. ესენი უკვე მეტეორიტებია.




მეტეორების რიცხვი წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვაა. ამის მიზეზია ვარსკვლავთშორის სივრცეში მეტეოროიდთა არათანაბარი განაწილება. ისინი ძირითადად კონცენტრირებულია მეტეორთა გუნდებში, რომლებიც კომეტების ბირთვის დაშლის შედეგად წარმოიქმნება. ამ დაშლის პროდუქტები — მტვრის ნაწილაკები და მოშსხო სხეულები — მოძრაობას განაგრძობენ მზის გარშემო იმ ელიფსური ორბიტით, რომლითაც მათი „მშობელი" — კომეტა მოძრაობდა.

როცა ერთი გუნდის შემადგენელი ნაწილაკები ატმოსფეროში იჭრებიან, ისინი ურთიერთპარალელურად მოძრაობენ და წარმოქმნიან მეტეორულ ნაკადს, რომელსაც ზოგჯერ მეტეორულ წვიმასაც უწოდებენ. განსაკუთრებით საყურადღებოა მსხვილფრაქციიანი ხშირი ნაკადები (საათში 100 და უფრო მეტი მეტეორიტი). ასეთი „წვიმები" მოდის, მაგალითად, აგვისტოსა და დეკემბერში. ამ დროს დედამიწა გადაკვეთს ორბიტას, რომლითაც მეტეორთა გუნდი მზის გარშემო მოძრაობს. აქვე მოთავსებულ ნახაზზე ერთ-ერთი ასეთი შეხვედრაა ასახული.

---

● როცა ადამიანი გამეტებით უკრავს ტაშს, მისი სხეულის მიერ გამოყოფილი სითბო ჩვეულებრივზე 1,4-ჯერ მეტია. დარბაზში მყოფი 3500 მაყურებლის აპლოდისმენტებისას გამოიყოფა სითბო, რომელიც საკმარისია ოცი ექვსოთახიანი ბინის გასათბობად ზამთრის ერთი დღის განმავლობაში.

● ჩვეულებრივი ფანქრით შეიძლება გავავლოთ 50-60 კილომეტრზე მეტი სიგრძის ხაზი ან დავწეროთ დაახლოებით 45 ათასი სიტყვა.

● დედამიწას ობობას ქსელის ძაფი რომ შემოვახვიოთ, მისი წონა სულ 450 გრამი იქნება. მაგრამ თუ იმავე ძაფს კენტავრის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავამდე გავჭიმავთ, მისი წონა 500 ათას ტონას გადააჭარბებს.



● ადამიანის თვალი ერთმანეთისაგან ასხვავებს 17 ათას ელფერს.

● ფრინველის ფრენის სიჩქარემ ზოგჯერ შეიძლება საათში 100 კილომეტრს გადააჭარბოს; ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 7 კილომეტრზე მეტია; ფრენის მაქსიმალური სიშორე 3-3,5 ათას კილომეტრს აღწევს.

● პეკინის ბოტანიკურ ბაღში ხარობს ლოტოსი, აღმოცენებული თესლისაგან, რომლის ასაკიც თითქმის 200 წელი იყო.

● ეიფელის კოშკი (პარიზში) ვერტიკალურად მხოლოდ ღამით დგას (თუ, რა თქმა უნდა, ქარი არ ქრის). დილით კი 150 მმ-ით იხრება დასავლეთით, დღისით — 100 მმ-ით ჩრდილოეთით, საღამოს — 70 მმ-ით აღმოსავლეთით. ყველა ეს გადახრა მზის თბური გამოსხივებითაა გამოწვეული. ათგრადუსიან ყინვაში კოშკა 17 სანტიმეტრით უფრო მოკლეა, ვიდრე ზაფხულის ცხელ დღეს.

● მშვიდად მყოფი მტრედის სუნთქვის სიჩქარე წუთში 29-ს უდრის, ფრენისას კი წუთში 450-ია.

● აფრიკაში ცხოვრობენ „მსროლელები", რომლებიც ფრიად სახიფათო იარაღს ფლობენ. ესენი კობრა-სნაიპერები არიან. მათი შხამის სროლის სიშორე 1 მეტრია.

---

კოტოვი



კეშდენი

1946 წელს მოსკოვში აშშ და სსრკ ნაკრები გუნდების შეხვედრისას.

კოტოვი თავაზობს მისთვის ხელსაყრელ ლაზიერების გაცვლას, მაგრამ მას ულალატა კომბინაციურმა ხედვამ, ვერ გაერკვა პოზიციის მოტივებში.

25. ლc6! ლd8 (არ ვარგა 25... ლ:c6 26. მ:c6 და შავები მატერიალურ ზარალს თავს ვერ დააღწევენ) 26. ლa8 ლc7 27. მc6 ლb7 (კოტოვს კვლავ ულალატა კომბინაციურმა ხედვამ) 28. მe7!! და კოტოვი დანებდა. მან ახლაღა დაინახა (ურემი რომ გადაბრუნდება, გზა შემდეგ გამოჩნდებაო!): 28... ლ:e7 29. ლ:c8 ლf8 30. კh7! (გათრევის იდეა). აღვნიშნავ ამ კომბინაციის, ჩემი აზრით, მთავარ მოტივს — შავი მეფისა და c8 კუს დაშორება „მხედრის ხვლაზე", რასაც ბოლო მომენტში დაერთო b7 ლაზიერის გადატვირთვა და d5 მხედრის დაბმა.

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრება და შეკითხვები კედლენისა და, საერთოდ, ტაქტიკაკომბინაციის თაობაზე. გამოგვიგზავნეთ თქვენი კომბინაციები და ერთსვლიანი დარტყმები გამოსაქვეყნებლად.

ველით თქვენს ბარათებს.

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
შოთა ინწკირველი

## საინტერესო სიახლენი

### ყველაზე პაწაწინა

ფრანგმა მეავიამოდელემ მიშელ სერიემ ააგო მსოფლიოში ყველაზე პატარა ავიაგამანადგურებელი „მირაჟ-2004“. მისი წონა სულ 45 კილოგრამია, სიჩქარე — 300 კილომეტრი საათში. დედამიწიდან მიცემული რადიობრძანებით იგი ასრულებს უმაღლესი პილოტაჟის ზოგიერთ ფიგურასაც. საწვავის მარაგი ცხრაწუთიანი ფრენის სამყოფია.



### „იკარუსი“... რელსებზე

უნგრული „იკარუსი“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია ცნობილი. არსებობს ამ კომფორტული ავტობუსის რამდენიმე მოდელი. ამას წინათ კი ერთმა უნგრულმა ფირმამ „იკარუსის“ ქარხანასთან ერთად მალაიზიის დაკვეთით დაამზადა ახალი ტიპის „იკარუსი“, რომელიც რელსებზე დადის. ეს, ფაქტობრივად, ორ-სამ ვაგონიანი მოტომატარებელია. მისი დიზელის ძრავის სიმძლავრე 250 კილოვატია (340 ცხენის ძალა), მაქსიმალური სიჩქარე — 100 კილომეტრი საათში.

### ახალი ჯიბის ფარანი

გერმანულმა ფირმა „ვარტამ“ გამოუშვა ახალი ჯიბის ფარანი. ჰალოგენური ნათურა, რომელიც ამ ფარანშია ჩამონტაჟებული, უფრო ძლიერად ანათებს, ვიდრე ჩვეულებრივი, და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტიც ორჯერ მეტია ჩვეულებრივთან შედარებით. გარდა ამისა, ეს ნათურები გაცილებით მეტ ხანსაც სძლებენ.

### შუქურიანი ფუტკარი

ცენტრალური ამერიკიდან თანდათანობით ჩრდილოეთისკენ მიიწევენ აფრიკიდან შემოსული ძლიერშხამიანი ფუტკრის, ეგრეთ წოდებული ფუტკარ-მკვლელის გუნდები. მათი მიგრაციის თვალ-ყურის დევნების მიზნით ამერიკელმა ენტომოლოგებმა რამდენიმე ათეულ ფუტკარს ზურგზე დააკრეს ინფრაწითელი შუქურა, რომელიც საშუალებას იძლევა, ვერტმფრენიდან ან მაღალი კოშკიდან თვალი ადევნონ გუნდის მოძრაობის მიმართულებას. შუქურა სულ 35 მილიგრამს იწონის და მზის ბატარეით იკვებება.

### ვიდეო ჰაერში

ამერიკულმა კომპანია „ნორსუეს ეირლაინზმა“ თავისი თვითმფრინავის 116 სავარძლის ზურგში დაამონტაჟა მომცრო ტელეეკრანები. ვიდრე ნიუ-იორკიდან ტოკიოში ჩაფრინდებოდეს, მგზავრს შეუძლია ნახოს ერთ-ერთი იმ ექვსი ვიდეოფილმიდან, რომლებსაც სასამსახურო ნაკვეთურში დადგმული ვიდეომაგნიტოფონები აჩვენებენ. მეზობელმა მეზობელს ხელი რომ არ შეუშალოს, ფილმს ყურსასმენებით უსმენენ.



### მარგალიტი... მარჩენალი!

მარგალიტის მაძიებლის პროფესია ჩვენს დროში უკვე მოძველებულად ითვლება. დღეს ამ ძვირფას თვალს ხელოვნურად იღებენ, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია იაპონიამ, რომელსაც კლიმატური პირობებიც უწყობს ხელს. იიოტა — პირლის ფერმაში (კუნძული კიუსიუ) უკვე 30 წელია გამოჰყავთ ხელოვნური მარგალიტი.

ძვირფასი ქვის ჩანასახებს რგავენ ნიჟარებში, რომლებსაც წყალქვეშ ლიტანებს შუა დაჭიმულ ბადეებზე ათავსებენ. ნიჟარებს წყალში 1-3 წლამდე აჩერებენ, მათ ჩამოყალიბებას დიდი ყურადღებით აკვირდებიან ფერმის მსახურნი. გაზრდილი მარგალიტი ამოაქვთ, ახარისხებენ (უვარგისებს ზღვაში აგდებენ) და საიუველირო მაღაზიებს სთავაზობენ.

### ბატონი ბოცვერი

ძაღლებისა და კატების სილამაზის კონკურსები დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ამ ბოლო დროს კი მოეწყო ბოცვრების სილამაზის კონკურსები — ინგლისში, გფრ-ში, ავსტრიაში.

პირველი ბუნებრივად გრძელყურა ბოცვერი ამ 100 წლის წინ დაიბადა: ყურების უცნაური ფორმა ბუნების ჭირვეულობით აიხსნა. შემდეგ გრძელყურა ცხოველების გამრავლება გეგმურად დაიწყეს, და ამჟამად სულ უფრო ხშირად გვხვდება ბოცვრები, რომელთა ყურების სიგრძე 60 სმ-ს სჭარბობს. კონკურსში გამარჯვებულ ზოგიერთ ბოცვერს სიარული უჭირს, რადგან ფეხებში ედება თავისი გრძელი და მძიმე ყურები.



### საიდან ჩნდება ჰიპოდინამია

ინგლისელმა სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ევროპელი ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე საშუალოდ 80 500 კილომეტრს გადის. თითქოს საკმაოდ გრძელი მანძილია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა 70 წელს უდრის, მაშინ დღეში ჩვენ საშუალოდ სამ კილომეტრს გავდივართ, ერთ საათში კი — დაახლოებით 200 მეტრს. და ამის შემდეგ გვიკვირს, რატომ გვივითარდება ჰიპოდინამია!

### კარდინალი — აქვარიუმისტი

ცხოველების საოცარი მეგობრობის მრავალი შემთხვევაა ცნობილი: კატა ვირთხასთან მეგობრობს, ძაღლი ბარტყებს უვლის. მაგრამ ჩიტმა კარდინალმა, რომელიც ოქროს თევზებს საკვებს აძლევს, მართლაც შეიძლება გაგაოცოს. როგორც ჩანს, ფრინველებსაც აქვთ შექმნილი ცხოველთა დაცვის საზოგადოება. სხვა ვერაფრით ახსნეს ჩიტის ეს უცნაური მზრუნველობა ლოს-ანჯელესის (აშშ) ზოოპარკის თანამშრომლებმა.

# მარჯვენა თუ მარცხენა?..

თუ გინდა დაადგინო, შენი პატარა დაიკო ან ძამიკო, ან შენი ახალშეძენილი მეგობარი ცაციაა თუ მემარჯვენე, ესე იგი, რომელია მისთვის მთავარი მოქმედი ხელი — მარჯვენა თუ მარცხენა, შეგიძლია რომელიმე (ან რამდენიმე) ამ ცდათაგანი გამოიყენო:



1. **თითების გადახლართვა.** თუ ცდისპირი სწრაფად, დაუფიქრებლად გადახლართავს ერთმანეთში ორივე ხელის თითებს, ზემოთ აღმოჩნდება იმ ხელის ცერი, რომელიც მთავარია (მარჯვენა— მემარჯვენისა, მარცხენა — ცაციასი). თუ დაფიქრდება და თავს ძალას დაატანს, შეუძლია შეცვალოს თითების განლაგება, მაგრამ ამ შემთხვევაში საკმაოდ უხერხულად იგრძნობს თავს.

2. **„ნაპოლეონის პოზა“.** უთხარით ცდისპირს, სწრაფად, დაუფიქრებლად დაიკრიფოს მკერდზე ხელები. თუ იგი მემარჯვენეა, მისი მარჯვენა ხელისგული, ჩვეულებრივ, მარცხენა წინამხარს დაეფარება, მარცხენა კი მარჯვენა იღლიაში აღმოჩნდება, ხოლო თუ ცაციაა — პირიქით. თუ ცდისპირი დაფიქრდება და თავს ძალას დაატანს, შეუძლია შეცვალოს ხელების განლაგება, მაგრამ ისევე, როგორც ზემო შემთხვევაში, აქაც საკმაოდ უხერხულად იგრძნობს თავს.

3. **ტაში.** თუ ტაშის დაკვრისას მოძრაობს მარჯვენა ხელი, ცდისპირი მემარჯვენეა, თუ პირიქით — ცაცია.

4. **ორივე ხელის ერთდროული მოქმედება.** ცდისპირს თითოეულ ხელში თითო ფანქარი დააჭერინე და სთხოვე, ორივე ხელით ერთდროულად ხატოს (ქაღალდზე დაუხედავად) წრეხაზი, კვადრატი, სამკუთხედი. მთავარი ხელით შესრულებული ნახაზი, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო მაღალხარისხოვანია, ვიდრე პასიურით.

5. **მიზანში მოხვედრის სიზუსტე.** დაუდე ცდისპირს მაგიდაზე ქაღალდის ფურცელი, რომლის ცენტრშიაც მსხვილი წერტილი — სამიზნეა დახატული, და სთხოვე, თვალდახუჭულმა 15-20-ჯერ სცადოს ფანქრის წვერის ზუსტად მიზანში მორტყმა ჯერ ერთი, მერე — მეორე ხელით. თუ ცდისპირი მემარჯვენეა, მარჯვენით ნასროლი „ტყვიები“ ცენტრთან ახლოს მოიყრის თავს და შედარებით თანაბრად იქნება განაწილებული, მარცხენით „ნასროლი“ კი გაიფანტება და არათანაბრადაც განაწილდება.

6. **ვერტიკალური ხაზების გავლება.** ქაღალდის ფურცელზე დახატე ორი კვადრატი (1,5 სმ×1,5 სმ) დაუდე იგი მაგიდაზე ცდისპირს და სთხოვე, სწრაფად დაშტრიხოს ვერტიკალური ხაზებით ერთი კვადრატი მარჯვენა ხელით, მეორე — მარცხენით. მთავარი ხელით გავლებული ხაზები უფრო სწორია და რაოდენობითაც დაახლოებით ერთი მესამედით ხშირი, ვიდრე პასიური ხელით გავლებული.

7. **ძირს დავარდნილი საგნის აღება.** ცდისპირი იშვიათად თუ აიღებს მიწაზე თუ იატაკზე დავარდნილ საგანს პასიური ხელით. მემარჯვენე ამ საგანს მარჯვენა ხელით დასწვდება, ცაცია — მარცხენით.

8. **დომინოს ქვები.** თუ დომინოს გაფანტული ქვების აკრეფისას ცდისპირს ყუთი მარჯვენა ხელით უჭირავს, ხოლო ქვებს მარცხენით ალაგებს, იგი ცაციაა და პირიქით.

ერთი რამ გახსოვდეს: ცაციობა არც ავადმყოფობაა და არც უბედურება. თუ შენი დაიკო ან ძამიკო, ან ამხანაგი ცაციაა, ეს არც სასაცილოა და არც საგანგაშო — ამით მას ცხოვრებაში ხელი არ შეეშლება.

### ფანტაზიორი

— წელს ჩვენთან ზაფხული ისეთი ცხელი იყო, რომ პეპლებს ფრთები დაეწვათ...

— ეგ რა არის! ჩვენთან ისე ცხელოდა, რომ ქათმები მოხარშულ კვერცხებს დებდნენ.

### ენდნენ

— ახლა კი დაგიმტკიცებთ პითაგორას თეორემას... — თქვა მასწავლებელმა.

— რა საჭიროა, ჩვენ ისედაც ვენდობით თქვენს სიტყვას! — წამოიძახა ზარმაცმა ოტომ.

### ბუნების ნორჩი ქომაგი

მამა ვაჟიშვილთან ერთად ტყეში დასეირნობდა და თან უხსნიდა:

— იცი თუ არა, ჩემო ბიჭუნა, რომ ოდესღაც ამ ტყის ადგილას ზღვა ყოფილა?

— მეც აგრე გავიფიქრე, მამიკო, როცა შევხედე, რომ ბალახებში ბლომად სარდინის ყუთები ეყარა.

### გამოცდაზე

— აბა, რომელი კუნთები აგიმოქმედდებათ, კრივში რომ შეგებრძოლოთ? — ჰკითხა პროფესორმა სტუდენტს.

— ცხადია, სიცილის კუნთები. — მიუგო მან.

### მისამართი

— არ შეგიძლია მითხრა, აქ ახლომახლო კბილის ექიმი სად ცხოვრობს? — ჰკითხა ბიჭს გამვლელმა.

— შილერის ქუჩაზე, მარცხენა მხარეს.

— ნომერი არ იცი?

— არა, მაგრამ, ნომერი ხომ სახლის კარზე აწერია.

### ცელქი

— რამდენჯერ უნდა გითხრა, ბიჭო, სკამს ეგრე ნუ აყირავებ! ყურები არა გაქვს?! — დატუქსა დედამ პატარა ჰანსი.

— კი მაქვს, დედიკო, მაგრამ ყურებით როგორ უნდა გადავაყირავო?

### სიხარბე

— რომელი ვაშლი მოგცე, ოტო?

— რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი.

— ეგრე არ შეიძლება, შვილო, თავაზიანი უნდა იყო და პატარა მოითხოვო.

— თავაზიანი რომ ვიყო, დედიკო, მაშინ უნდა ვიცრუო, შენ კი ყოველთვის მარიგებ ხოლმე, ტყუილი არ თქვაო...

### დაკვირვებული ბიჭუნა

პატარა კურტი ბუხრის წინ კატას ეთამაშებოდა. კატა აკრუტუნდა. ბიჭუნამ კარგა ხანს უცქირა, მერე კუდზე ხელი წაავლო და ბუხრიდან მოშორებით გადაათრია.

— რას შვრები?! — დატუქსა დედამ. — კატის წვალება არ შეიძლება!

— კი არ ვაწვალებ, უბრალოდ, უკვე ადუღდა და ცეცხლს მოვაცილე.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



მასის „მფრინავი თეფში" შეგიძლია სხვა დანიშნულებითაც გამოიყენო, კერძოდ, როგორც ტელევიზორის მბრუნავი საყრდენი.

● ლითონის ხახაზავი ხმარებისას ქაღალდზე სრიალებს ხოლმე. შენც აიღე და ცალ მხარეზე ლეიკოპლასტირი დააკარი.

● „ტურისტი" და „სპუტნიკი" ველოსიპედის უკანა მილისის ზამბარა შეგიძლია № 2 გიტარის ლარისაგან გააკეთო მისი წვრილ ლურსმანზე დახვევის გზით.



● ფურცლოვანი რკინის გადაღუნვა სპეციალური დაზგის გარეშეც შეიძლება. დახედე ნახაზს და მიხვდები, რომ საამისოდ საკმარისია გირაგი და ადვილად ასაწყობი მოწყობილობა ორი კუთხედისა და სახელურ-ბერკეტისაგან.



● თუ გინდა, პარკეტის ზედაპირს ძველი ლაქი ააცილო, სველი ჩვარი დააფარე და ზემოდან ცხელი უთო გადაუსვი.



● საბაღე ნაკვეთში საზხაპის მოწყობას თუ გადაწყვეტ, ლითონის ავზის ძებნას გირჩევნია ავტომობილის ნახმარი საბურავი იშოვო — ეს უფრო ადვილია და იაფიც დაგიჯდება. საბურავს ის უპირატესობაც აქვს, რომ წყალი არ „იჟანგება" და ადვილადაც თბება მზეზე.



● თუ დიახახლისს საკერავი მანქანის ნემსი გაეღუნა, გადაგდებას ნუ იჩქარებ. იგი ჯერ ასანთის ალზე გაახურე და მერე გაასწორე. ამის შემდეგ საჭიროა მისი გამოწრთობა. ნემსი პინცეტით დაიჭირე, გაზქურის ალზე მოყვითალო-მოწითალო ნათებამდე გაავარვარე და სწრაფად გააცივე სამანქანო ან მზესუმზირას ზეთიან ახაზანაში.



● ე. წ. „ჯანმრთელობის დისკო", ანუ სპორტული პლასტ-



# სარჩევი


მომავლის იმედით (საუბარი) . . . . . . გარეკ. . 2
გ. ჭიჭინაძე — საით მიგვიხმობენ საყვირები? (ლექსი) . . 2
მ. კარბარეთელი — ვისწავლოთ შრომა (წერილი) . . 3
ნ. აფხაზავა — მეი, თქვენ! (მოთხრობა. დასასრული) . . 4
ზ. აბაშიძე — დიდგორი (წერილი) . . . . . 9
ე. ამბოკაძე — მეზღაპრე სხვენზე ცხოვრობს (ნარკვევი) . 10
ს. შამფრიანი — (ლექსები) . . . . . . . . . 13
ზ. სარჯველაძე — რა განძი გვქონია (წერილი) . . . . 14
ა ი ს ი . . . . . . . . . . . . . 17
დ. ვადაჭკორია — ჯოხი და ასტრონომია (მოთხრობა) . 18
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . . . . . . . 23
ვ. სიდამონიძე — გმირი ძმები (წერილი) . . . . . 25
ე. ბენედეკი — კატა (ზღაპარი) . . . . . . . 26
მხედრიონი . . . . . . . . . . . 27
ქსოვა . . . . . . . . . . . . 28
მეტეორიდი, მეტეორი, მეტეორიტი (წერილი) . . . . . 29
თურმე . . . . . . . . . . . . 29
საინტერესო სიახლეები . . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . 30
მარჯვენა თუ მარცხენა? (წერილი) . . . . . . . 31
უცხოური იუმორი . . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . . . 32
ტხრაკლიტული . . . . . . გარეკ. . . . . . 3
თბილისს (მუსიკალური ნოტი) . . . გარეკ. . . . . . 4


გარეკანის 1-ელ გვერდზე „მე ვხედავ მზეს" — მხატვარი ჯემალ ლოლუა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეყირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01.

გადაეცა ასაწყობად 27. 06. 89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.08 89 წ., ქაღალდის ფორმატი $60\times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1578 ტირაჟი 147.800. ეგ., უე 09427.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხს წერილობით არ ვცნობებთ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60\times 90^{1}/_{8}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 147-800 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

**თარაზულად:** 2. ქართველი საბჭოთა პედაგოგი, ლიტერატურისმცოდნე; 4. მოკლე ხნით გაბატონებული გემოვნება; 7. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი მიმართვა მეორე ქვეყნისადმი; 9. დახშული ზედაპირი, რომლის ყველა წერტილი თანაბრადაა დაშორებული ცენტრიდან; 10. ქიმიური ელემენტი; 12. იტალიელი კომპოზიტორი; 14. მდგომარეობა, განლაგება; 16. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოების პერსონაჟი; 17. სითხის შესანახი თიხის ვიწროყელიანი ორყურა დიდი ჭურჭელი ძველ საბერძნეთსა და რომში; 18. დედამიწის ზედაპირზე სვლის პირდაპირი მიმართულება; 22. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 24. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 25. თოფის წამალი; 26. აზიის სახელმწიფო; 27. ლარი; 28. პირველი ქართველი კინოოპერატორი.



**შვეულად:** 1. მხატვრულად გაფორმებული წიგნაკი; 2. დიდ გროვად წამოსული ჩამორღვეული თოვლი; 3. უმცროსი მატრონი; 4. ქართველი ქიმიკოსი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი; 5. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 6. ძირითადი ფერი, ტონი, რომელზედაც იხატება სურათი; 8. საშუალო სკოლადამთავრებული მოსწავლე; 11. მისამღერი; 13. ცხვრის ყველი; 14. გამის პირველი ძირითადი ბგერა; 15. ზღაპრული შინაარსის იგავი; 19. წუნი; 20. ნიკარაგუის დედაქალაქი; 21. მარადმწვანე დეკორატიული ხე ან ბუჩქი; 23. ქართლის სოფელი; 24. ვალი.

შეადგინა
ჭ. ჭურღულაშვილი

## როგორი თანამიმდევრობით?



ყუთში 7 დეტალი აწყვია (№ № 1-7). ისინი ჩაალაგეს ზემოდან (ისრის მიმართულებით).

როგორი თანამიმდევრობით ჩაალაგეს დეტალები ყუთში?

გამოცნობის საუკეთესო დრო 30 წამია; ერთი წუთიც არ არის ურიგო შედეგი. აი, თუ მეტი დრო დაგეხარჯა, უნდა იზრუნო ყურადღების გავარჯიშებაზე.-

## გამოცანები

●

ორნი არიან, ტოლნი არიან,
ერთად არჩევენ საგნებს,
მაგრამ უსარკოდ ვერა ხედავენ
ერთიმეორის სახეს.

●

ხეზე ასვლა, ტვირთით ჩასვლა
არის მისი საფიქრალი,
უხელო და ცალფეხაა,
ტანი აქვს და არ აქვს თავი.

●

უფეხოა, უხელოა,
უხმაუროდ დადის,
ზურგზე სახლი ჰკიდია და
დარდი არ აქვს ავდრის.

ნ. ბვარიშვილი

●

ის მაშინ გამოგადგება,
კაცს რომ შეხვდები გზაში,
გავცემთ და კიდეც
ვლებულობთ,
არავინ ვრჩებით ვალში.

●

თავის ოთხ ტოტზე
ამ ჭადარს
ხუთ-ხუთი ბარი ჰკიდია,
ზოგისა ტარი მოკლეა,
ზოგისა კიდევ — დიდია,
განუყრელები არიან,
ერთად მოდიან, მიდიან.

ბ. მარცვალაშვილი.

●

თუმცა ტანად პატარა ვარ,
არ მაშინებს ტვირთი დიდი,
დიდყურა ვარ, ტანდაბალი,
უგზოობის არ მაქვს რიდი.



ცხენს ვგავარ და ცხენი არ ვარ,
ძლიერი მაქვს ხმა და ვყვირი,
რაც მომრავლდნენ მანქანები,
ვილას უნდა ახლა...

●

შეუძლია მოგვატაროს
მთა და ბარი, ველი ვრცელი,
უნაგირი ადევს ზურგზე,
სახელია მისი...

●

ფერით ყავისფერები ვართ,
ხეზე ვცხოვრობთ, ვყივყივებთ,
თბილ ქვეყნებში არ
მივფრინავთ,
არ გვაშინებს სიცივე,
საკენკს ჩვენთვის არ იშურებთ,
ვცხოვრობთ „დიამბეგურად",
ჩვენს წონაზე ათჯერ მეტს
ვჭამთ
დღეში თითო...

ლია ასათიანი

### შარადა

მოკლე და კაუჭა ნისკარტი,
ბრჭყალები — ბასრი და გრძელი.
იმ ოთხი ბგერიდან კიდურის
შეკვეცაც როდია ძნელი;
მეორე ნემსშია გაყრილი,
ის პირველ თანხმოვანს იკლებს. —
დევივით ტანადი ხე არის,
ტყეებში გინახავთ, იქნებ.

შ. ამირანაშვილი

### პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

**კროსვორდი**

**თარაზულად:** 4. რეიგანი; 5. არდაზიანი; 6. კიაზო; 7. ამალა; 11. კარდინალი; 12. ავაზა; 13. ტროპი; 14. ფრაზა; 16. რუმბი; 18. მანდარინი; 21. აჭარა; 22. რომბი; 23. პენტაგონი; 24. ჩაპლინი.

**შვეულად:** 1. ვედრო; 2. ეგზეკუცია; 3. ანაპა; 6. კენია; 8. ათენი; 9. კრაზანა; 10. ლატარია; 14. ფრესკა; 15. კარდინალი; 17. ირტიში; 19. კანადა; 20. ფრონტი.

**შარადა**

ესკიზი, მორალი, ესკიმო

# თბილისს

ლექსი ილო მოსაშვილისა

მუსიკა რუსუდან მუმლაძისა




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძვირფასო ბავშვებო!

რუსუდან მუმლაძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების IX კლასის მოსწავლეა (ლ. იაშვილის კლასი). ფორტეპიანოს გარდა, ბეჯითი გოგონა კომპოზიციითა და ვოკალიზმითაა გატაცებული. მისი კომპოზიციის მასწავლებლის, კომპოზიტორ ალექსი შანიძის თქმით, გოგონას ორი წლის ასაკში გამოუჩენია სიმღერისადმი მიდრეკილება. სწორედ მაშინ მიუძღვნა მას ეთერ ქელიძემ საბავშვო სიმღერა „ოქროს საქანელა". იგი რუსუდანმა მრავალ კონცერტზე შეასრულა.

რუსუდანი არაერთი სიმღერისა და საფორტეპიანო პიესის ავტორია.

ჩვენო წმინდა ალაგო,
ქართლის ციხექალაქო,
შენ რუსთველის ენაზე
მტკვარი გედუდუნება,

მისამღერი:

რამდენ ცრემლებს
გაწვიმდა
დიდუბე და მთაწმიდა,
რამდენ ნახმლევს გირჩენდა
შენი დედაბუნება.

ჩვენო წმინდა ალაგო,
დედა თბილისქალაქო,
ვის არ ხიბლავს სიტურფე
შენი მთის და მდელოსი!

მისამღერი:

შენ მზის თვალმა
დაგხატა
ჩვენს ოცნებად გაგხადა,
შენ ხარ ჩაუქრობელი
გული საქართველოსი.

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.